№ 9 ხვთშაბათი, 13 იანვარი 1909 წ. № 9

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროების» ხურათებიანი დამატებით: ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ...დავ მცირე წერილებს და ... ხავს. ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად ... დღ., კვირა-უქმ. ების ... დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მაზ., ხოლო ხხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ტფილისი, 13 იანვარი

გასული წელიწადი რუსეთის მუშათა კლასისათვის ისეთივე მძიმე იყო, როგორც წინა წლები, ზოგიერთი მხრით უფრო მძიმეც და უნუგეშოც კი.

უსაქმოდ დარჩენილი არმია არაკლებულობს, პირიქით—ზოგან მატულობს კიდევ და წარმოუდგენელს მდგომარეობაში ამყოფებს მრავალ ათას მუშას და მათ ოჯახებს. შარშან ზამთარში მარტო პეტერბურგს 15%-ით იმატა უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვმა, ასეთსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი პოლონეთში (ლოძი), მოსკოვის საფაბრიკო რაიონში, სამხრეთ რუსეთში და სხვაგნა. დიძალი მუშა განაგრძობს ხეტიალს რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე და ამაოდ ეძებს სამუშაოს. რასაკვირველია, მთავრობა არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს, როგორმე შეამსუბუქოს აუტანელი გაჭირვება ესოდენ უსაქმოებს. არა თუ არ აარსებს სახაზინო და საზოგადოებრივ მუშაობას—საქმეს, არამედ ამცირებს კიდეც თავის ძველ ქარხნებს და ქუჩაში სტოვებს მუშებს (პეტერბურგი). გარდა ამისა სდევნის იმ ორგანიზაცებს, რომელნიც უსაქმოდ დარჩენილმა მუშებმა გაიჩინეს აქა-იქ და რომელნიც ცოტა-ოდნად მაინც შველოდნენ მათ.

საქმეში ჩამდგარ მუშათა მდგომარეობაც უკან-უკან მიდიოდა შარშან. რეაქციით გათამამებული მრეწველი განაგრძობდა ბრძოლას მუშებთან და ართმევდა იმ შეღავათსა და უფლებებს, რომელიც 1905—1906 წლებში მოიპოვეს მუშებმა. ლოკაუტი განაგრძობდა თავის გამანადგურებელ საქმეს თითქმის ყველგან, სადაც კი თვალსაჩინო სამრეწველო დაწესებულება არსებობს. მუშათა ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ კაპიტალისტების მადის ალაგმა, იდევნებიან სასტიკად და დაქსაქსული მომუშავეთა არმია თითქმის უბრძოლველად ემორჩილება პატრონთა თავგასულობას. პროფესიონალურ კავშირების დევნა, მაგალითად, უმწვერვალესამდე მივიდა შარშან. ევროპის რუსეთში მარტო პირველ ექვსი თვის განმავლობაში 100-ზე მეტი პროფესიონალური საზოგადოება დაიხურა. უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაცია ლეგალიზაციაზე უარს ეუბნებოდა ახლად განზრახულ კავშირებს, თუმცა მათი არა პოლიტიკური და წმინდა ეკონომიური ხასიათი ცხადი იყო...

მიუხედავად მუშათა ასეთის მდგომარეობასა, მუშათა დამცველი კანონმდებლობა გასულ წელს სდუმდა, ისევე, როგორც წინა წლებში. არც ერთი წინად განზრახული რეფორმა სისრულეში არ იქმნა მოყვანილი. მარად სამახსოვრო 9 იანვრის შემდეგ ბიუროკრატია დაფაცურდა და აღუთქვა მუშებს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. კომისია კომისიაზე და საბჭო საბჭოზე არსდებოდა, კრებები იმართებოდა, კანონ-პროექტები ცხვებოდა, მაგრამ აი, სამი წელიწადი გავიდა, და რუსეთის მუშათა კანონ-მდებლობას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. გასული წელიწადი ამ მხრით კიდევ უფრო უნუგეშო და უფერული გამოდგა. მთავარი კანონ-პროექტები, რომელთაც მთავრობა ეს სამი წელიწადია არკვევს და ადგენს, შეეხება სახელმწიფო დაზღვევის შემოღებას უბედურ შემთხვევთაგან, სიბერისაგან, საზოგადო ინვალიდობისაგან და სხვა. მთავრობამ რამდენჯერმე დაასრულა ამ პროექტების შემუშავება, მაგრამ საქმეს თავიდან იწყებდა მრეწველთა ძალდატანებით, რომელნიც, რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო ამცირებენ თავიანთ დათმობას. შარშან ეს კანონ-პროექტები საკმაოდ იქმნა დამახინჯებულ-შემცირებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი განხორციელება არ მოხერხდა. ახლა ეს კანონ-პროექტები სახ. სათათბიროს კანცელარიაში განისვენებენ და, ვინ იცის, როდის ან როგორი დაბოლოვება მოელით... მესამე სათათბიროს უმრავლესობა სრულიებითაც არ იძლევა იმედს, რომ დააჩქარებს ან გაუმჯობესებს მთავრობის პროექტებს. ამის დამამტკიცებელი ფაქტიც მოგვცა სათათბიროს შარშანდელმა მოღვაწეობამ. სახელდობრ, ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა სათათბიროს კანონ-პროექტი თავის საკუთარ ქარხნების მუშათა დაზღვევის შესახებ უბედურ შემთხვევთაგან. სათათბიროს კომისიამ არა თუ არ შეავსო და არ გააუმჯობესა მთავრობის პროექტი, პირიქით ფრთები შეუკვეცა. სკანდალი აშკარა იყო და სათათბიროს საზოგადო კრებამ უკანვე დაუბრუნა კომისიას პროექტი და საქმე უმოძრავად დარჩა.

ცხადია, ასეთ სათათბიროსაგან სანუგეშო არაფერია მოსალოდნელი და ისიც ბიუროკრატიასავით უძლური გამოდგება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში: თვითონ უმრავლესობა ამ საკითხში მთავრობის მარჯვნივ სდგას და მზადაა დაიცვას მხოლოდ მრეწველთა ინტერესები; ოპოზიცია-კი, ზევრსაც რომ ეცადოს, ვერაფერს გაარიგებს. ამის საბუთებიც მოგვცა შარშან სათათბირომ. კადეტებმა წარადგინეს ფრიად საჭირო და მასთან მშვენიერად შემუშავებული კანონპროექტი სავაჭრო დაწესებულებათა მსახურთათვის ნორმალურ დასვენებისა და ნორმალურ ხელშეკრულობის შესახებ. ამ კანონპროექტის საჭიროება თვით მთავრობამ აღიარა, მაგრამ სათათბირომ მთელი წლის განმავლობაში ვერ მოიცალა იმის დასამტკიცებლად. ს.-დემოკრატთა ფრაქციამ წარადგინა შეკითხვა პროფესიონალურ კავშირების დევნის შესახებ, მაგრამ სათათბირომ „ამისთვის ვერ მოიცალა და უპირატესობა მისცა პურიშკევიჩის სულელურ შეკითხვებს...

ასეთ უნუგეშო ყოფაშია მუშათა საკითხის „სტატისტიკაცა და დინამიკაც“ რუსეთში. მაშინ როდესაც დასავლეთი ევროპა, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც წინა სწევს მუშათა კანონმდებლობას, რუსეთი სულ უკან-უკან რჩება ამ საქმეშიც. 1908 წ., მაგალითად, ინგლისში განხორციელებულ იქმნა ფრიად მნიშვნელოვანი კანონი მოხუცებულ მუშათა პენსიის შესახებ, დანიაში—კანონი უმუშევრობისაგან დაზღვევის შესახებ, ესპანიაში—კანონი მუშათა და მრეწველთა სამედიატორო კამერების შესახებ, საფრანგეთსა და იტალიაში—პროექტები მუშათა ხელშეკრულობათა შესახებ და სხვა და სხვა. რუსეთში-კი, რომელიც ყველას ჩამორჩა სოციალურ კანონმდებლობაში, წინ-კი არა, საქმე, როგორც ვთქვით, უკან მიდის. ვერ უშველა ვერც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ვერც 17 ოქტომბერმა, ვერც სახალხო წარმომადგენლობამ. მუშათა საკითხიც, როგორც სხვა მწვავე საკითხები, იმავ მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც რევოლიუციის წინად იყო, და გასულმა წელიწადმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ყოველივე უცვლელად დარჩება, სანამ „ძველ დროთა ნაანდერძევი დიდი საქმე“ სავსებით არ გაიმარჯვებს...

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 იანვარი

### მიწის-ძვრა

**პულკოვო.** პულკოვის ობსერვატორიის სეისმოგრაფმა 10 იანვარს დილით აღნიშნა ძლიერი მიწის-ძვრა. მიწის ძვრა სადღაც შორს მოხდა და უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მესინის მიწის ძვრა.

**რეჯიო.** 10 იანვარს, საღამოს 7 საათსა და 20 წუთზე მიწა ჯერ სუსტად იძვრა, შემდეგ 7 საათსა და 24 წუთზე ძლიერად. ეხლა მიწის ძვრა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე 15 დეკემბერს. დაანგრია ბევრი დაზიანებული სახლის კედლები. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა.

**მესინა.** 10 იანვარს საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე ძლიერი მიწის ძვრა იყო, რომელმაც 8 წამი გასტანა. მიწის ძვრას ჰგრძნობდნენ გემებზედაც და ზღვის ნაპირის შენობებშიაც. ხალხი თავზარდაცემულია.

**ვენა.** დილის 4 საათსა და 8 წუთზე სეისმოგრაფებმა აღნიშნეს მიწის ძვრა ვენიდან 3500 ვერსის მანძილზე. სოფიაში სეისმოგრაფმა აღნიშნა კატასტროფიული მიწის ძვრა იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე მესინაში იყო.

**ბერლინი.** უნტერ-საქსენბურგში სეისმოგრაფებმა დილის 3 საათსა და 54 წუთზე აღნიშნეს ძლიერი მიწის ძვრა. პოტსდამში იქ ტერისტიუს აპარატებმა ამავე დროს აღნიშნეს მიწის-ძვრა 3-დან 4 ათას ვერსის მანძილზე. ძლიერ რყევისაგან სეისმოგრაფი დაიქცა. გამბურგშიაც სეისმოგრაფებმა ამავე დროს აღნიშნეს ძლიერი მიწის-ძვრა 3700 ვერსის საშორეზე, აღმოსავლეთის მხრისაკენ. რომიდან მოსულ დეპეშების ცნობით, სეინში შენიშნეს ტალღისებური პირველ ხარისხოვანი რყევანიადაგისა.

**იურიევი.** ღამე, 4 საათსა და 46 წუთზე, ადგილობრივ ობსერვატორიის სეისმოგრაფმა აღნიშნა ძლიერი მიწის-ძვრა. ეს მიწის ძვრა უფრო ძლიერად აღნიშნა, ვიდრე მესინისა იყო.

**ეკატერინბურგი.** გუშინ, დილის 7 საათზე, ობსერვატორიამ ძლიერი მიწის-ძვრა აღნიშნა.

**რედავიო.** ძლიერი მიწის-ძვრა მოხდა ჰალიმსა, ბანიარსა, ოცილასსა და სან-იოვანეში. ადამიანი არავინ დაღუპულა.

### სპარსეთი

**პეტერბურგი.** რუსეთისა და უცხოეთის პრესაში ამ ბოლო დროს სწერდნენ, რომ ინგლისსა და რუსეთს სპარსეთის საქმეებზე მოლაპარაკება აქვთო. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ სარწმუნო წყაროებიდან გაიგო, რომ რუსეთსა და ინგლისს სულ არა სურთ ჩაერივნენ სპარსეთის შინაურ საქმეებში. ამასთან ორივე მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ სპარსეთში შემოღებულ იქმნას წარმომადგენლობითი სისტემა, რომელსაც შეუძლიან განახორციელოს ადმინისტრაციული, ფინანსიური და ეკონომიური რეფორმები. არეულობა, რომელიც ეხლა სპარსეთშია, რუსეთისა და ინგლისის ეკონომიურ ინტერესებს მუქარას ნიშნავს. ორივე მთავრობა ამიტომ დროგამოშვებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, რომ შაჰის მთავრობას დარიგებები მისცეს.

**თავრიზი.** სამი დღის წინად ხოიას მიდამოებში რევოლიუციონერებსა და მაქუელ სარდარის ჯარს შორის ბრძოლა მოხდა. რევოლიუციონერები ძლეულ იქმნენ და გაიფანტნენ. თავრიზიდან 20 კაცი გაჰგზავნეს საშველად.

### ბალკანეთი

**ცეტინიე.** პარლამენტში გარეშე საქმეთა მინისტრმა პასუხი გასცა ბოსნია-ჰერცოგოვინის შესახებ შეკითხვას. მან აღნიშნა, ისტორიულად და ეკონომიურად როგორ არის დაკავშირებული ჩერნოგორია სერბიის ერთან. მოიყვანა რამდენიმე ისტორიული მაგალითი ჩერნოგორიის გამოსვლისა ბოსნია-ჰერცოგოვინას დასახმარებლად და სთქვა: ბოსნიის მოულოდნელმა შეერთებამ დიდი შეურაცყოფა მიაყენა სერბების ეროვნულ გრძნობას. ამ გრძნობის გამომხატველი იყო თავად ნიკოლოზის მოწოდება. ჩერნოგორელები სამხედრო ალტაცებამ გაიტაცა, მაგრამ თავადმა დაუჯერა სა-

ძმები ისიდორე, ბესარიონ და ივანე ნიკოლოზის ძენი ჭავჭავაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის პანაშვიდი საყვარელ ძმის

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ჩუღურეთში 14 იანვარს, დილის 10 საათზედ. (1—23—1)

ხვალ, ოთხშაბათს, 14 იანვარს, ნაშუადღევის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულ

ნინო ივანეს ასულის მირზაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—ფ.—1)

წარმოდგენა № 10. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 10.

ოთხშაბათს, 14 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ ახალი პიესა ნ. შიუკაშვილისა

**მეგობრობა**

დრამა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი, ე. წუწუნავა; ბ-ნნი ფ. გედევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, ი. ქივიძე, შ. საფაროვი, კ. მათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „რევიზორი“, „ხალხინო“,

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

**ცირკი ძმ. ნიკიტინებისა**



სამშაბათს, 13 იანვარს, დიდი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწ. იღებენ კლოუნები, კომიკები, ცხენოსნები. მოვიდა შესანიშნავი სომხის მოჭიდავე **კრიკორ გარგარიანცი** სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა** 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. **პოსპეშინი** და **ლურიხი**; 2. **ოსენკო** და **შულცი**; 3. **გარგარიანცი** და **მულტონი**. დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 13 იანვარს, კარჟევინას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**„კ ა რ მ ე ნ ი“**

მონაწილენი: ქ-ნნი კალინინა მეორე, ლავროვა, ფერრარი, ოსიპოვისა; ბ-ნნი დანილევსკი, კარჟევინა, კარელინა, როსსოლიმო, ტომსკი და სხვ.

დირიჟორი **ი. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** ხვალ, 14 იანვარს, ვან-ბრანდტის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **„ფაუსტი“**. მზადდება დასადგმელ. ანდრე-შენიე.

◀ საერო განათლების სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფი ▶

**კერძო სასწავლებელი**

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყოფილ უფროსის

**ლიუდმილა თეოდორეს ასულის პეტრაშევსკისა**

მიხეილის პროსპექტი, № 166.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოსამზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. საბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ნასყ.—5)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

**ტფ. კერძო სამკურნალო**

(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკს ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ე. ზ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ. დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. ზ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—24)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაზანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—12 ნახ. ს. ქალებისა და საბებიო.

**საღამოთი:**

**ი. ვ. ბეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედ ც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—0)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუხუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—37)

**ექიმი** თვალისა ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. ნარაჯიშვილისა. (25—668—24)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—70)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—44)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—70)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჯალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ქუთაისში მ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ნ ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

გამოცდილი რეპეტიტორი-**სტუდენტი**

უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში“.

გეომეტრი და მარკშაიდერი

**გ. ს. ასათიანი**

ვგეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ვ. ს. ასათიანი. (0—6.—74)

ხელმწიფოების რჩევას და შესძლო ომის წყურვილი ჩაენელებინა. ჩვენ სრული ღობითა და იმედით შევყურებთ კონფერენციას, ჩვენ აზრად არც კი მოგვდის, რომ დიდი სახელმწიფოები განიზრახავენ სერბიის ერის სიკვდილს. ბოსნია ჰერცოგოვინა სერბიის ერისათვის იგივეა, რაც მოსკოვის გუბერნია რუსებისოვის. ავსტრო-ჰუნგრეთი ვერ იხელმძღვანელებს იმითი, რომ ეს პროვინციები არავის არ ეკუთვნოდნენ და ამიტომ ჩაიგდო ხელთ. ჩვენ არა გვგონია, რომ დიდი სახელმწიფოები მოიწონებენ ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმება, რომელიც დავის მოსასპობ საშუალებად მილიონებსა სთვლის, ამ ორ პროვინციის საკითხი სერბიის სახელმწიფოებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხია. ამ შეერთების გამო მალე ბოლო მოეღება სერბიის დამოუკიდებელ პოლიტიკას. ჩვენ საკითხის სამართლიან გადასაწყვეტად ერთადერთ საშუალებადა ვთვლით იმას, რომ ეს ორი პროვინცია ან შეუერთონ სერბიის სახელმწიფოებს ან სრული ავტონომია მიანიჭონ მათ. თუ ასე არა, ჩვენ ნელი სიკვდილი მოგველისო. ამ სიტყვის შემდეგ პარლამენტმა შემდეგი ფორმულა მიიღო: ჩერნოგორიის პარლამენტი, ადასტურებს რა მთავრობის პოლიტიკას, გამოსთქვამს სურვილს, რომ მან სერბიასთან ერთად იმოქმედოს და მტკიცედ დაიცვას სერბიის ინტერესები იმ სახით, როგორც შეეფერება სერბიის ეროვნებას და ჩერნოგორიის ღირსებას, მის ისტორიულ დანიშნულებას. წინ! იყოს ნება ღვთისა! შეუძლებელია უკან დახევაო.

**ვენა.** „კორესპონ. ბიუროს" სოფიიდან ატყობინებენ: პალატის კრებაზე მალინოვს შეეკითხნენ ტუნჯინის დივიზიის მობილიზაციის შესახებ. მალინოვმა განაცხადა, პასუხს ორშაბათს გაგცემთო.

ოფიციალური წრეები უარყოფენ იმ ხმებს, ვითომ მთავრობას ბრძანება გაეცეს ჯარის მობილიზაციის შესახებ ოსმალეთს ორი მოსაზღვრე ადგილის დასაჭერად.

**სტამბოლი.** 10 იანვარს, ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩმა ოსმალეთს ორი სიტყვიერი ნოტა გადასცა. პირველში ნათქვამია, რომ ტრიპოლისში მებოიკოტე ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენა ავსტრიის იმით, რომ საკონსულო გერბს და თითონ კონსულს აფურთხებდაო. კონსულის მოთხოვნით, ვალიმ დამნაშავენი დააპატიმრა, მაგრამ ბრბოს მოთხოვნით ისევ მალე გაანთავისუფლაო. მეორეში ნათქვამია, რომ ალექსანდრეტის ვიცე-კონსული მივიდა მესსინაში და ნაპირზე ავსტრიელ დალოიდას ნავით უნდოდა გადმოსვლა, მაგრამ რამდენმამე მენავემ არ გაუშვა და ხელი ჰკრა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ვიცე-კონსული იტალიურ გემზე ავიდა, შესძლო ნაპირზე გადმოსვლა. აქაც დამნაშავენი არ დაუსჯიათო. ორივე ნოტა ასე თავდება: საელჩო პორტის ყურადღებას აქცევს ამ საერთაშორისო უფლების დარღვევაზე და იმედოვნებს, რომ დამნაშავენი დასჯილ იქმნებიან და კონსულები დაკმაყოფილებას მიიღებენო.

**ვენა.** სოფიიდან „კორესპ. ბიურო"-ს ატყობინებენ: დილით გამოიცა ბრძანება, რომლითაც მერვე მოსაზღვრე დივიზიის სათადარიგო ჯარისკაცები სამი კვირით სასწავლებლად უნდა შეუერთდნენ. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ეს ბრძანება გამოიწვია იმ ხმამ, ვითომც ოსმალეთს გადაეწყვიტოს დაიჭიროს ორი მოსაზღვრე ადგილი.

**ცეტინიე.** ტყუილია ის ხმები, ვითომ ჩერნოგორიის რწმუნებულს განეცხადებინოს ოსმალეთისთვის, რომ ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმების შემდეგ ჩერნოგორია თავისუფლად იმოქმედებსო. აქაური ოფიციალური გაზეთი იუწყება, მთავრობას ამის შესახებ არაფერი არ მიუწვდია თავის რწმუნებულისთვისაო.

### საზღვარ-გარეთ

**სტოკჰოლმი.** სვენ-გედინმა ანტროპოლოგიურ და გეოგრაფიულ საზოგადოების თხოვნით, წაიკითხა მოხსენება ტიბეტის ექსპედიციის მუშაობის შესახებ. მოხსენებას დაესწრო მეფე.

**ლონდონი.** კოლსტრიმში მინისტრმა გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენ საგარეო პოლიტიკაში განვლეთ რამდენიმე მეტად საშიში თვე. სიამოვნებით ვეგებებით ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმებას დავის უმთავრეს მუხლში. ამ შეთანხმებამ სავსებით განგვიფანტა ის ბურუსი, რომელიც შეიძლება კონფერენციის გარეშე დატოვებულიყო. ახლო აღმოსავლეთის საკითხების გამო ჩვენ მოლაპარაკება გვქონდა რუსეთსა და საფრანგეთთან, და ჩვენი მოქმედების საფუძვლად იყო მშვიდობიანობა, მეგობრობა და ნდობაო. შემდეგ გრეიმ სთქვა, რომ განზრახული დარბაზობა მეფისა გერმანიის იმპერატორთან ხელს შეუწყობს ინგლისის კეთილ განზრახვათა განმტკიცებას. რაც შეეხება იტალიის—პოლიტიკური დამოკიდებულება ამ სახელმწიფოსთან გამოიხატა საყოველთაო დახმარებაში ამას წინად მომხდარ უბედურების გამო. ინგლისი ამ დახმარებაში მონაწილეობას იღებდა. გრეიმ განაგრძო: ინგლისი კვლავ ღრმა სიმპატიებით ეკიდება ოსმალეთის რეფორმებს; ავსტრიაში ცილი დაგვწამეს, ვითომ ბოროტ-პოლიტიკას ვაწარმოებდეთ. ამ ბრალდებას ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, მხოლოდ არ შემიძლიან არ განვაცხადო, რომ ეს ბრალდება საშინელი ჭორია, ამ ბრალდებით დიდი ზარალი არ მოგვივა, მხოლოდ ამ ხმებს უჯერებენ ავსტრიაში და ეს გარემოება ხელს შეუშლის მეგობრულ განწყობილებას. ჩვენს გაზეთებს არაფერი ბრალი არ ედებათ ურთი-ერთობის გამწვავებაში, ისინი თავდაჭერილ კილოთი ეხებოდნენ ბალკანეთის საკითხს. სამწუხაროდ დამრჩებოდა, რომ ეს კილო შეცვლილიყო მე ვამტკიცებ, რომ ინგლისისა და საერთაშორისო ინტერესები მოითხოვენ, უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში ვიხელმძღვანელოთ ღრმა გადაწყვეტილებით, რომ კეთილ სინიდისიერად შევასრულოთ ყველა ხელშეკრულება და მოვალეობა და დავიცვათ მეგობრული განწყობილება სახელმწიფოებთან.

**ბოსტონი.** აიისტარის კომპანიის გემი „რესპაუბლიკი", რომელიც ხმელთა შუა ზღვის ნავთსადგურებისაკენ მიდიოდა, დაეჯახა ბურუსში რომელიღაც გემს ნეტკუნესთან მახლობლად (შტატ მოსაჩუზეტის მახლობლად). უმავთულო ტელეგრაფით გადასცეს, რომ გემის პირველი კლასის 220 მგზავრით ზღვაში იძირებაო. საშველად მიდის საბაჟო გემი.

**პეკინი.** 10 იანვარს გამოსცეს ბრძანება, რომლითაც ლანგ-ტუნ-ენი დაინიშნა ვაივუბეს პრეზიდენტად.

**ლონდონი.** ტეტტენგემში ორი უცხოელი თავს დაეცა ავტომობილს, რომლითაც სარეზინო მანუფაქტურის ორ მოსამსახურეს ფული მიჰქონდა მუშებისთვის. თავდამსხმელებმა დასჭრეს მოსამსახურენი, შეხტნენ ტრამვაის ვაგონზე და მუქარით აიძულეს ვატმანი, რაც შეიძლება გაექარებინა ვაგონი. თავდამსხმელები ვაგონში მგზავრებსა და გამვლელ-გამომვლელთ ესროდნენ. თავდამსხმელთ პოლიციელები ველოსიპედებით და ავტომობილებით დაედევნენ. როცა ბოროტ-განმზრახველებმა დაინახეს, რომ ვერსად წავიდოდნენ, თვითონვე დაირტყეს რევოლვერები. ერთმა, რომელიც მძიმედ არის დაჭრილი, უარი სთქვა თავის ვინაობის გამოცხადებაზე, მხოლოდ სთქვა, ორი წლის წინად რიგიდან მოვედიო. ოფიციალურ ცნობებით მოკლულია ორი, დაჭრილი 15 კაცი.

ტოკიოდან ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ მარკიზ კავურამ პარლამენტში, ბიუჯეტის შეტანის დროს, სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა გამოკეთდაო.

**ბერლინი.** ავსტრიაში იტალიანურ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ „ბერლინერ-ტაგებლატის" კორესპონდენტი იუწყება: ბიულოვმა ურჩია მთავრობას, კავშირის შესანახად იტალიელების სურვილი მივიღოთ მხედველობაშიო. ამის შესახებ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ოფიციალურ წყაროებიდან ატყობინებენ: რომაელ კორესპონდენტის ცნობა სიმართლეს მოკლებულიაო: გერმანიას არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ. მხოლოდ იტალიურ უნივერსიტეტის საკითხის გამწვავების დროს სცდილობდა, მოესპო უთანხმოება ავსტრიასა და იტალიას შორის; მაგრამ მისი მოქმედება ჯერაც არ დაგვირგვინებულა.

**ბერლინი.** დღეს სოციალ-დემოკრატების ინიციატივით კრებები გაიმართა. კრებებს აუარებელი ხალხი დაესწრო. მიიღეს რეზოლიუციები პრუსიაში საყოველთაო არჩევნების შემოღების შესახებ. კრებების გათავების შემდეგ რამდენიმე ათასი დემონსტრანტი სცდილობდა მეფის სასახლესთან მისვლას. პოლიციამ გაჰფანტა დემონსტრანტები.

**ნიუ-იორკი.** გამოირკვა, რომ გემი „რეპიუბლიკი" დაეჯახა გემ „ფლორიდას", რომელიც დაზიანებული იყო. ვაიტსტერის კომპანიის გემმა ორივე გემიდან გადასხა მგზავრები. დაჯახების დროს გემ „რეპუბლიკზე" 4 მგზავრი მოკვდა.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** სასამართლომ დაადგინა, შეაჩეროს იმ ანდერძის დამტკიცება, რომელიც ამას წინად გარდაცვალებულმა მოსკოვის მილიონერმა დაუტოვა ერთ მახლობელ ქალს და არა თავის ცოლსა და მცირე წლოვან ასულს.

**მოსკოვი.** ვერეის მაზრის საერობო კრებამ დაადგინა, შემოიღოს მაზრაში საყოველთაო სწავლა-განათლება.

**პეტერბურგი.** გენერალ ალექსეევის დამცველმა მოითხოვა ალექსეევის გამართლება—იმის მოქმედებაში დანაშაულობა არ არისო. ალექსეევმა უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა—ბრალდება ცილის წამებაო. სამხედრო საზღვაო სასამართლომ, ხუთი საათის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ალექსეევი უდანაშაოდ სცნო ძალით ფულის გამორთმევაში, ხოლო დამნაშავედ იცნო იმაში, რომ ალექსეევმა 1904 — 1905 წლებში, საზღვაო შტაბში შტაბ ოფიცრობის დროს, გამართა მოლაპარაკება გოჩკის ფირმის წარმომადგენელთან. ფირმა ვალდებული იყო, მიეცა ფული, თუ ალექსეევი დაეხმარებოდა იმაში, რომ საზღვაო უწყება ამ ფირმას მიანდობდა საქმეების შესრულებას. ალექსეევმა სხვა და სხვა დროს 9500 მანეთი მიიღო. ის გარემოება, რომ ალექსეევმა ეს ჩაიდინა რუსეთ-იაპონიის ომის დროს, სასამართლომ დანიშნულის გასაძლიერებლად იცნო და ანგარებისათვის მიუსაჯა ალექსეევს სამსახურიდან დათხოვნა და უფლებების შეზღუდვა. ალექსეევმა უნდა გადაიხადოს ათი ათასი მანეთი, ხოლო თუ ვერ გადაიხდის, ერთი წლით დააპატიმრებენ.

**ტომსკი.** გაჩხრეკის დროს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ქვედა სართულში ნახეს მიწაში დაფლული 6 ყუმბარა. ამათში 4 შვიდ-გირვანქიანი, 2 ორ-გირვანქიანი.

**პეტერბურგი.** ღღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 31 კაცი, გარდაიცვალა 20 კაცი.

გრადონ. ჩალნიკმა გაზეთ „გოლოს პრავდის" რედაქტორი „ნაში რევოლიუციონერი"-ს სტატიით დასტაბულ [illegible] დაუჯარიმა.

[illegible] მის დაწყებისას წაიკითხა ხელმწიფის დეპეშა: „გადაეცით საბჭოს წევრებს ჩემი უღრმესი მადლობა იმ მილოცვისა და სურვილებისათვის, რომელიც მათ გამოსთქვეს დეპეშით. **ნიკოლოოზ**". წაიკითხა აგრეთვე დეპეშა დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა. სახელმწიფო საბჭოს მდივნის ამხანაგმა დერიუჟინსკიმ წაიკითხა უმაღლესი ბრძანება შესახებ აკიმოვის დანიშვნისა თავმჯდომარედ, გოლუბიევისა—საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად, აგრეთვე საბჭოს ახალ წესების შესახებ. შემდეგ საბჭომ მოისმინა საფინანსო კომისიის აზრი 1.270.650 მანეთის გადადების შესახებ ფოსტის დაბალ მოხელეთა ჯამაგირების მოსამატებლად. ეს პროექტი სათათბირომ ამას წინად მიიღო. საბჭოს კომისიამ შესაძლებლად ვერა სცნო ფოსტის მოხელესთვის ჯამაგირების მომატება 1 იანვრიდან და 1 ივლისიდან, როგორც მთავრობა შუამდგომლობდა. კომისიამ წინადადება მისცა საბჭოს, გაანახევროს 1908 წლისათვის ნათხოვნი კრედიტი, შემდეგი წლებისთვის კი ის დასტოვოს, რაც სათათბირომ გადასწყვიტა. საბჭომ მიიღო საფინანსო კომისიის წინადადება და დაადგინა, გადასცეს ეს საქმე შემათანხმებელ კომისიას, რომელშიაც არის საბჭოს ექვსი და სათათბიროს სამი წევრი.

**პეტერბურგი.** ზოგიერთ გაზეთში დაბეჭდილი იყო, ვითომ მოსკოვის გრადონაჩალნიკის გენერალ რეინბოტის საქმე მოისპოო. იუსტიციის სამინისტრო აცხადებს, რომ ეს ცნობა მართალი არ არისო.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა უმაღლეს დასამტკიცებლად წარსადგენად: პროექტი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად სესხის მიცემის შესახებ. განზრახულია, ასეთი სესხი მიეცეთ იმ გლეხებს, რომელნიც საგლეხო ბანკის დახმარებით შეიძენენ, აგრეთვე იმას, ვინც სანადელო მამულს შეიძენს სამეურნეო იარაღით, თესლითა და ტომრებით საერობო სამეურნეო საწყობებიდან და ზოგიერთა ფაბრიკა-

# ფელეტონი

## მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

V

**კიდევ ოსმალეთის ქართველთა შესახებ. ასსიმილიაციის ტენდენცია.**

(იხ. „დროება", N 8).

ჩვენ აქ, რასაკვირველია, უძველეს ხალხთა გაქრობაზედ არა გვაქვს ლაპარაკი, იგი სულ სხვა საგანია, თუმცა ისიც მართალია, რომ სავსებით არ გამქრალა არც მათი სისხლი, არც მათი ენა, არც მათი კულტურა და განაწილებულია ათას თანამედროვე ხალხთა შორის. ასე რომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ საზოგადოდ: 1. პირველ-ყოფილ ურდოთა ბრძოლის და ზედ-გავლენის პროცესსი, რომლიდანაც მუშავდება ხალხი და ერი, არ არის პროცესსი ხალხთა და ერთა შორის ბრძოლისა. უკანასკნელი უფრო რთულია და მისი შედეგებიც სავსებით არა ჰგავს პირველის შედეგებს; 2. კულტურულ ერის მიერ ველურთა „ასსიმილიაცია" კი ისე ადვილი არ არის, როგორც ადამიანს პირველის შეხედვით მოეჩვენება: იგი ან ამოჟლეტის ფასით არის ნასყიდი ან ახალ ტიპის შემუშავებით, რომელშიაც, რასაკვირველია კულტურული ელემენტი სჭარბობს; 3. ველური დამპყრობი უფრო ეგუება კულტურულ დამარცხებულსა და ამ უკანასკნელის ცხოვრებაში მხოლოდ თავისი ახალი ელემენტი შეაქვს; 4. ბარბაროსთა თანასწორ კულტურათა ბრძოლა თავდება ხშირად მათის ინტეზით აგრეთვე ახალ ტიპის საზოგადოების შემუშავებით; 5. უკვე ზრდა-დასრულებულ ერთა შორის ბრძოლა კი ყველაზედ უფრო რთულია, და ამასთან შეუძლებელია ერთი ნამდვილი, კულტურულ ერის „ასსიმილიაცია".

ინგლისი საუკეთესო მაგალითია ამ აზრის დასასაბუთებლად. კუნძულები ბრიტანიისა და ირლანდიისა კელტებით იყო დასახლებული. რომის მხედრობამ იგი დაიპყრო, მაგრამ ის პროცესსი არ მოუხდენია ბრიტტების საზოგადოებაში, რაც მოახდინა გალლიაში. მას არ შეუქმნია ბრიტო-რომანული ცივილიზაცია. შემდეგ მივიდნენ გერმანელები და, საზოგადოდ, გერმანულმა ელემენტმა დაუსრულებლივ იწყო დენა ბრიტანიის კუნძულებზედ; ამ ელემენტმა ამოჟლიტა მრავალი ბრიტტი, შეაშინა და გახიზნა შოტლანდიის მთებში, მაგრამ ვერ მოახდინა ვერც მათი სრული ასსიმილიაცია და ვერც მოსპობა. შემდეგ მივიდნენ ფრანგები ნორმან-ნარევი გალლები ანუ გალლნარევი გერმანელები. აქ იწყება ბრძოლა და შეგუება გერმანელ და ფრანგულ ელემენტთა და სრულდება ინგლისის ერის წარმოშობით, რომელიც არც ანგლო-საქსონია და არც ფრანგი. მაგრამ ასეთი სინტეზი თავის დღეში არ მოხდებოდა, რომ მისული ფრანგებიც ერთი ზრდა-დამთავრებულ ერის წარგზავნილები ყოფილიყვნენ ან ანგლო-საქსონელებს ჰქონოდათ ერის სახელის ღირსი საზოგადოება; პირველები იყვნენ უფრო მეკობრები და თულები, მეორენი—მონადირენი, მწყემსები და პირველ-ყოფილი მიწის მუშები. ერი კი მხოლოდ შემდეგ შეჰქმნა ამ ორივე ელემენტმა. განვითარებული რომ ყოფილ-ყო ეს ორივე ელემენტი, შეიძლება მაშინ ინგლისი ისეთივე სახელმწიფო ყოფილიყო, როგორიც დღეს არის, მაგრამ მუდმივი ბრძოლა და მეტოქეობა იქნებოდა თვით ინგლისის ტერიტორიაზედ ფრანგთა და ანგლო-საქსონელთა შორის. თუმცა ბრძოლისას არა, მაგრამ ასეთ ეროვნულ სიმტკიცის მაგალითს არ გვიჩვენებენ დღეს კანადის ფრანგები?

ეხლა კი ინგლისის ერი არსებობს, ძლიერი და პირველი ქვეყანაზედ, მაგრამ პატარა ირლანდიის ერის ასსიმილიაციაც ვერ შესძლო საუკუნეთა განმავლობაში. ირლანდიამ დაკარგული ენაც კი დაიბრუნა თან და თან და რაც უფრო განვითარდება იგი, მით უფრო სასტიკად შეებრძვის ინგლისსა.

ესეც ერთი კანონია: რაც უფრო ვითარდება საზოგადოდ ერი, მით უფრო მტკიცდება მისი ინდივიდუალობა, მისი **ეროვნება**. რაც უფრო ვითარდება ჩაგრული ერი, მით უფრო იძენს იგი შეგნებას თავის ინდივიდუალობისას, მით უფრო სწყურია წარმოადგინოს მან დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზმი. იგი სცდილობს განთავისუფლდეს. ევროპის ისტორია, განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნისა, ამას ნათლად გვიმტკიცებს. ეხლა „ეროვნული იდეა" ყველგან მძლავრად იღვიძებს, და მომავალი დიდთა საქმეთა გამოაჩენს, ეგრედ-წოდებულ, პატარა ერთაგან აღსრულებულთ!..

იმაზედ უფრო საშინელი და პროგრესსის ხელის შემშლელი მოვლენა არა არის-რა, როგორც ერთი ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერის დაპყრობა მეორესაგან. განსაკუთრებით თუ ერთმანეთში აირივნენ, მაშინ იშლება ორივესათვის თვით საფუძველი საერთო სოციალურ მოწესრიგებისა ადამიანთა შორის: ენა, რელიგია, ტერრიტორია და სხვ.—აი რა ხდება მუდმივ შეტაკებათა და ჩხუბთა საგნად, და ერთა ორგანიულ განვითარების მაგივრად მათს დაქცევასა და ამოვარდნას ვხედავთ. კავკასია და თვით ოსმალეთი (ავსტრიას და სხვებს რომ თავი დავანებოთ) ამისი მაგალითი არ არის?

და ჩვენც იმიტომ მოვიყვანეთ ეს მცირე განმარტება, რომ სწორედ ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა გამეგო ცოტათი მაინც და წარმოგვედგინა მთელი ის არა-რაციონალური დაწერილი პლანი ახალგაზდა ოსმალთა, რომელსაც ისინი „ასსიმილიაციას" უწოდებენ.

მართლაც ვისი ასსიმილიაცია შეუძლიანთ თანამედროვე პირობებში ოსმალებს? ის დრო წავიდა, როდესაც ცეცხლითა და მახვილით ამყარებდნენ ხოლმე საკუთარ სიძლიერესა და ეროვნებას დიდი მეომარი სახელმწიფოები. სამცხე, კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი და სხვა მხარეები საქართველოსი, აგრეთვე მრავალი სერბი ბოსნია-ჰერცოგოვინისა, ალბანელები და სხვები მართალია გაამაჰმადიანეს დროთა ვითარებაში, მაგრამ ჯერ ერთი სანამ ეს გამაჰმადიანება შეეძლებოდათ, ხალხებმა ორას-სამასი წელიწადი იბრძოლეს თავიანთ სჯულისა და ენის დასაცავად; მეორე—სჯულის გამოცვლა კიდევ არა ნიშნავს ეროვნების დაკარგვას. ხან და ხან ენასაც კი ჰკარგავენ ხოლმე სჯულთან ერთად, მაგრამ მაინც ახსოვთ თავიანთი ეროვნება, შთამომავლობა და მას ებლაუჭებიან, მითი უნდათ აღადგინონ დაკარგული წარსული. აჭარაში, მაგალითად, ყოველი სოფელი, ყოველი არშინი მიწა მოწამეა ასის-ორასის წლის ბრძოლისა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფანატიკოსი მუსულმანები არიან აჭარლები, ქართული მაინც შერჩენიათ და ის არის მათი სამშობლო ენა. აგრეთვე სერბები და მრავალი მუსულმანი ალბანელი ლაპარაკობს თავის ენაზედ და ეხლა კი იმასაც სცდილობს, რომ თავიანთი ლიტერატურა შეჰქმნან ანუ დაეწაფონ თავიანთ მოძმე ქრისტიან თანამემამულეთა უკვე არსებულ ლიტერატურას. თუ წინად ხალხი კი არა, განათლებულიც ძნელად არჩევდა სჯულსა და ეროვნებას, ეხლა, ამ ერთა განთავისუფლებისა და განვითარების ეპოქაში, ყველა არჩევს ურთიერთისაგან ამ ორ სრულიად სხვა და სხვა ცნებას და ვერც მუსულმანობით და ვერც ქრისტიანობით ველარავის შეიყვანენ შეცდომაში.

ეხლა, როგორც ვთქვით, ეპოქა ძალით გამაჰმადიანებისა და გაქრისტიანებისა წავიდა, ამასთან დამოუკიდებლად სარწმუნოებისა ეროვნების იდეია იღვიძებს და ვითარდება მრავალ ხალხთა შორის, უახლოვდებიან ერთმანეთს სხვა და სხვა სარწმუნოების, მაგრამ **ერთიერის** შვილები, და ოსმალეთსაც, თუ სასიმილიაციოდ გაუხდა საქმე, კულტურულ იარაღისათვის მიმართვა დასჭირდება. მაგრამ ამ მხრითაც სრულიად შემცდარია ეს აზრი ასსიმილიაციისა, რადგან, როგორცა ვთქვით, დიდ კულტუროსან ერთაც ვერ შესძლეს ნაკლებ-კულტუროსანთა გადაგვარება.

ოსმალეთში კი აი როგორია ერთა განწყობილება. რასაკვირველია დაახლოვებით ვლაპარაკობთ. სწორი სტატისტიკა არცა გვაქვს და არც არის საჭირო ამ საკითხისათვის ამ მოკლე წერილში.

ოსმალოთა რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში არ აღემატება 10 მილიონსა. სულ იმპერიაში მცხოვრები 30—35 მილიონამდისაა. არაბთა რიცხვი 6 მილიონამდის არის. სომეხთა რიცხვი 2—3 მილიონამდის, ბერძენთა 4 მილიონამდის, ბოლგარელთა 1—1 ნახ. მილიონამდის, ალბანელთა ორ მილიონამდის, ჩერქეზთა ნახევარ მილიონზედ მეტი, ქართველთა თითქმის მესამედი მილიონი და სხვა. ეხლა ვიკითხოთ—რომელი ამ ხალხის ასსიმილიაცია შეუძლიან ოსმალეთს და რითი? რიცხვი ოსმალოთა არც ისეთი დიდია, რომ სიმრავლით წაჰლეკოს სხვა ერები. კულტურა მას ისეთი ძლიერი არა აქვს, რომ ასწავლოს რამე ისეთი, რაც თვით ამ ერებმა არა იციან. ეროვნული შეგნებაც ამ ერებს განვითარებული აქვს საკმაოდ, რომ თავი არავის დააჩაგვრინონ.

სომეხთა და ბერძენთა ასსიმილიაცია შეუძლებელია, რადგან ისინი ეს ექვსასი წელიწადია, რაც ოსმალეთის ხელში არიან, მაგრამ არც ენა დაუვიწყიათ და არც სარწმუნოება. განსაკუთრებით

ქარხნების საწყობებიდან. ფულის გადახდა განაწილებულ იქნება. მთავრობა კ[illegible]რულ[illegible]ს ვალის დროზე გადახდის პასუხის მგებლობას.

**პეტერბურგი**. 10 იანვარს, საღამოს 9 საათზე დაიწყო კრება საგუბერნიო საზოგადოებისა და მიწის მომწესრიგებელ კომისიების მუდმივ წევრებისა. მონაწილეობას იღებენ მუდმივი წევრები 45 საგუბერნიო საკრებულოსი, ერთი საოლქო მმართველობისა, 30 სიგუბერნიო ერობისა და შვიდი გუბერნიისა (?). კრება გაიხსნა შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვით. სტოლიპინმა მიუთითა კრებას 9 ნოემბრის კანონზე და აღნიშნა, რომ 9 ნოემბრის კანონი კანცელარიაში კი არ არის შეთხზული, თვითონ ცხოვრებისაგან არის წამოყენებულიო. ორატორმა გაახსენა კრებას, რა დიდი დანიშნულება აქვეთ საგლეხო დაწესებულებებს—დაარწმუნოს მთავრობა, რომ 9 ნოემბრის კანონის გამოცემა თვით ცხოვრებისაგან არის წამოყენებული. სტოლიპინი ციფრებით ამტკიცებდა, რომ საგლეხო დაწესებულებას ბევრი გაუკეთებიათ ამ მხრივ. 1907 წლის თემიდან გასვლა მოუსურვებია 148,240 ოჯახს; 1908 წლის პირველ ნოემბერს კი უკვე 875,558 ოჯახი გასულა. 1908 წლის პირველ ნოემბრისთვის კერძო საკუთრებად გადაუციათ 3,212,753 დესეტინა მიწა. მაგრამ ამითი, სთქვა სტოლიპინმა, ვერ დავკმაყოფილდებით. მიუხედავად საქმის წინმსვლელობისა, სახელმწიფო სათათბიროს კარგ განწყობილებისა, თქვენ მაინც ყოველი ღონე უნდა იხმაროს საქმის წინწასაწევად. უმთავრესად უნდა გაიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ 9 ნოემბრის კანონი მარტო „ჩერეზ-პოლისიცი"-ს განსამტკიცებლად არ იყო გამოცემული. თქვენი ვალია განახორციელოთ კანონის მეორე ნახევარი — მოაწესრიგოთ გლეხების შინაური მდგომარეობა". შემდეგ სტოლიპინმა აღნიშნა, რომ საჭიროა დახმარება აღმოუჩინოთ ახალ მეურნეობის მომხრეებს ხელმისაწვდენ კრედიტების გახსნით და სხვა. ორატორმა კრებას მიუთითა ხარჯის აკრეფაზე და ურჩია, რიგიანად მოეკიდნენ ამ საქმეს. დასასრულ, სტოლიპინმა კრებას გადასცა ხელმწიფე იმპერატორის სიტყვები 9 ნოემბრის კანონის შესახებ: „გადაეცით კრებას, რომ მე ვიცი მათი მუშაობა და თვალყურს ვადევნებ მათ მოქმედებას. კიდევ გადაეცით მათ, რომ ისინი დიდ ისტორიულ საქმეებში იღებენ მონაწილეობას". კრებამ სთხოვა სტოლიპინს, გადაეცით ხელმწიფე იმპერატორს ჩვენი უქვეშევრდომილესი გრძნობანი. კრებამ აირჩია 4 კამისია.

**ნოვოჩერკასკი**. ყაზახის ჯართა და ქალაქის წარმომადგენელთა კრებამ გადასწყვიტა პოლიტეხნიკებს დაეთმოს ქალაქის შუაგულში 7 დესეტინა მიწა. ინსტიტუტის მოწყობა და აშენება დაჯდება 3 მილიონ მანეთად.

**კალაშ**. ღამე გატეხეს ლომბარდი: წაიღეს 30,000 მანეთის ნივთები.

**პეტერბურგი**. საზღვაო მინისტრის ამხანაგი ვოევოდსკი დაინიშნა საზღვაო მინისტრად.

**იაროსლავი**. ღამე ქალაქის შუაგულში ეკლესიიდან წაიღეს სასწაულ მომქმედ ხატის სამოსელი. სამოსელი ღირდა 20,001 მანეთად.

**ოდესა**. შეიპყრეს კაცი, რომელსაც ყუმბარა აღმოაჩნდა.

**იაროსლავლი**. ღამე შეიპყრეს ცნობილი ყ ჩაღი ჩაიკინა. რომელმაც 1904 წელს ყაზანის ღვთის მშობლის სასწაულ-მომქმედი ხატი გაიტაცა, რისთვისაც მას 12 წლით კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ ღამეს ჩაიკინა შაიპარა ზნამენის ნიშანში ხატის ძვირფას სამოსელის მოსაპარავად როდესაც იგი თოკით კედლიდან ძირს ჩამოეშვა, თოკი გაწყდა და ფეხი მოიტეხა. ჩაიკინი ყველაფერში გამოტყდა. სამოსელი იპოვეს.

# კიდევ საზიზღარ ჭორ ს შესახებ

(წერილი ქუთაისიდან)

„დროების" მე-5 ნომერში მოთავსებულია ორი წერილი იმ საზიზღარ ჭორის შესახებ, რომლითაც ვიღაც ნაძირალებისაგან მოდებულია მთელი აქაური მხარე. ჭორი შეეხება ებრაელებს. ვითომ ერთს ვიღაც ებრაელს გაეტყუებინოს ტყეში ქრისტიანი ქალი სოფელ ფარცხნარელი (ხარაგაულის მახლობლად) და ეწამებინოს იგი, ე. ი. „დაეჩხვლიტოს", მაგრამ ქალს ვითომ ქრისტიანები წასწრებიან, გაუნთავისუფლებიათ და მოსარჩენად ქუთაისის საავადმყოფოში დაუწვენიათ.

თუმცა ქუთაისის არც ერთ საავადმყოფოში ამგვარი ავადმყოფი ქალი არცა ყოფილა და არც არის ამ ჟამად, მაგრამ ჭორს, საუბედუროდ, უკვე გამოაქვს თავისი ზიზამინი ნაყოფი. როგორც იუწყებიან, ბევრ სოფელში ისეა თურმე ამ ხმებით ხალხი აღელვებული, რომ ებრაელებს ახლო აღარ იკარებენ, მტრულის თვალით უყურებენ მათ, დი ვინაა თავდები, რომ ამ უხამსმა გრძნობებმა თანდათან არ იმატოს, არ გაზვიადდეს!..

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ეს ჭორი გაიფანტოს, მაგრამ ამის მისაღწევად ჩემის აზრით ამგვარი კერძო წერილებით საწადელს მალე ვერ მივაღწევთ. საჭიროა, რომ იმ ადგილიდან, საიდანაც ამ ჭორებს მოუდის სათავე, დაამტკიცონ ხმების უსაფუძვლობა. მივმართავთ სოფელ ფარცხნარში ან ახლო-მახლო სოფლებში მყოფ შეგნებულ პირთ, პრესის საშუალებით უარჰყონ ამ საზიზღარ ხმების უსაფუძვლობა და სხვა მხრივაც შეეცადნენ, რომ ჭორი მარტო იმის გამომგონთ შერჩეთ...

**ჯაფარ-ფაშა**.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**✦ ნამქერი და ადამიანის მსხვერპლი**. 24 დეკემბერს ცხინვალის გზაზე (გორის მაზრა) დიდი ნამქერის დროს, როგორც გვატყობინებენ, დაიხრჩო რამდენიმე კაცი. ზოგი ამბობს, 12 კაცამდე დაიხრჩოლაო. როგორც ნამდვილად გავიგეთ, სხვათა შორის, დამხრჩვალა მამაშვილი მელქუაშვილები. შვილს დარჩა ცოლი და ხუთი პატარა შვილი.

**✦ კაცის მოტაცება**. კაცის მოტაცებამ ტფილისში გადამდებ სენის ხასიათი მიიღო. ისე არ გავა თვე, რომ არავინ დაატყვეონ, არავინ გაიტაცონ და შემდეგ ვაჭრობა არ გამართონ ფულის მისაღებად. დეკემბერში გაიტაცეს ტფილისელი ვაჭარი აივაზოვი, რეალურ სასწავლებლის მოსწავლე ფეფელოვი. ამ დღეებში ავაზაკებმა კიდევ გაიტაცეს ერთი კაცი, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, არა ფულის წაგლეჯის ინტერესით არამედ სხვა რაღაც მიზეზსა გამო. მამა-დავითის მოედანზე, თეთრაძის სახლში, მცხოვრებ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტად ნამყოფ სევერიან ბახტაძესთან 7 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე, მისულა მისი ოჯახის კარგი ნაცნობი, უთხრა, გავისეირნოთო და სადღაც წაიყვანა. იგივე კაცი საღამოთი მისულა ბახტაძის ცოლთან და უთქვამს, თქვენი მეუღლე საღამოს 7 საათზე დაბრუნდებაო. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ მათ უთქვამთ მაგ კაცს სწორედ რაიმე ცუდი საქმე ჩაედინოსო. ბახტაძის ცოლს ჰგონებია ჩემი ქმარი თეატრში თუ წავიდაო. მეორე დღეს ს. ბახტაძე კი არსად სჩანდა. ცოლს პოლიციისათვის უცნობებია ეს. დღესაც არ იციან, სად არის ბახტაძე.

**✦ კავკასიის საქმეები**. როგორც „ნოვ. რუსი" სწერს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სამხედრო მინისტრს და სინოდის ობერ-პროკურორს განუხილავთ დოკუმენტები პურიშკევიჩისა და სხვათა შეკითხვის შესახებ. მეტი წილი შეკითხვებისა ამით უსაფუძვლოდ უცვნიათ და გადაუწყვეტია, ამ შეკითხვებზე მთავრობამ პასუხი არ გასცეს სახელმწიფო სათათბიროს. პასუხის ღირსად არ უცვნიათ კავკასიის სამხედრო ნაწილს, მხარის და სამღვდელოების შესახებ. სინოდის ობერ-პროკურორს საბუთებით ხელში დაუმტკიცებია იშვიათი სიმშვიდე ქართველ სამღვდელოებისა და სინოდის სახელით შიში გამოუთქვამ, რომ ამნაირმა შეკითხვებმა არ აალელვა დამშვიდებული სამღვდელოება. სკოლის შესახებ შეკითხვა გადუწყვეტიათ გადასცენ საერო განათლების მინისტრს წინადადებით, რომ კავკასიაში გაჰგზავნოს საგანგებო საქმეთა მოხელე, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საქმის ნამდვილი ვითარება.

**✦ გამოფენა**. პეტერბურგის სამოქალაქო საინჟენერო საზოგადოებას დაუდგენია, წელს საერთაშორისო გამოფენა გამართოს ქალაქებისა და აგარაკების კარგ მდგომარეობის დასასურათებლად. საზოგადოების გამგეობამ ტფ. ქალაქის სამართველოსაც სთხოვა მიიღოს გამოფენაში მონაწილეობა. გამგეობამ დაადგინა, მიიღოს გამოფენაში მონაწილეობა. ამასთან გამგეობამ დაავალა სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს და ქალაქის ინჟენერს, წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი ამ გამოფენაზე ექსპონატების გაგზავნის შესახებ.

**✦ სირანიუშის იუბილეი**. ტფილისის სომხობას აზრადა აქვს არტისტ-ქალის ქ-ნ სირანუშის 35 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეი ტფილისშიაც გადაიხადოს. ამის გამო ორშაბათს საღამოთი გაიანეს სკოლაში კრებას გამართავს, სომხეთა ინტელიგენცია.

**✦ სკოლის გარედ განათლება**. სკოლის გარეშე განათლებისთვის მზრუნველმა საზოგადოებამ სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს ყოველ წლიური დახმარება 2000 მანეთი, ხოლო თუ ამას ვერ შესძლებს, ვერისა და ჩუღურეთის სკოლებში უსასყიდლოდ მაინც დაუთმოს ბინა ლაქციების წასაკითხად. გამგეობამ ფულზე უარი შეუთვალა გამგეობას და ნება დართო ისარგებლოს სკოლების შენობებით.

**✦ სას.-სამეურნეო საზოგადოება**. 10 იანვარს მოხდა სხდომა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საბჭოსი: საბჭომ, სხვათა შორის განიხილა პროექტი საზოგადოების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა 1909 წლისათვის. საბჭომ დაამთავრა აღრიცხვის განხილვა და დაადგინა, დასამტკიცებლად წარუდგინოს იგი საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია ხვალ 14 იანვრისთვის. ამავე სხდომაზედ საბჭომ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტის განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სურათი ჩამოჰკიდონ საზოგადოების დარბაზში და 50 მან. შესწირა საგურამოს პირველ დაწყებით სასწავლებელს.

**✦ კავკასიაში**. „კასპის" სიტყვით, ხმა დადის, რომ კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებს სამხედრო საგენერალ-გუბერნატორობად გადააკეთებენ.

**✦ გზა კავკასიონის მთაზე**. კავკასიონის მთაზე გზის გაყვანის საქმე სხვა დროსთვის გადაიდო მიზეზი ამისა სათათბიროს მიერ კრედიტის მიუცემლობაა. ფული საჭირო იყო წინასწარ გეგმის შესადგენად.

**✦ მამულების გაყიდვა**. დღეს, 13 იანვრისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში იმ დაგირავებულ მამულების გასასყიდად, რომელიც დეკემბერში ვერ გაიყიდა.

**✦ მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ**. „პეტერბურგ — მესსინის" კომიტეტის თავჯდომარის ქ-ნ ნ. ა. ხომიაკოვის თხოვნით, პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს ტფილისის განყოფილება (გოლოვ. პროსპ., № 34) იღებს შემოწირულებას სიცილიისა და კალაბრიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. შემოწირულება მიიღება დილის 10-დან საღამო 8 საათამდე. ამავე აზრით მთელ განჯის გუბერნიაში, გუბერნატორის განკარგულებით შეედგნენ შემოწირულების შეგროვებას.

**✦ კაპიტალისტების წარმომადგენელნი ტფილისში**. ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტთა წარმომადგენელნი. მათ აზრათა აქვთ, ქალაქის საბჭოსთან მოლაპარაკება გამართონ 3,500,000 მანეთის სესხის შესახებ.

**✦ სამოსამართლოებში**. „კასპის" სიტყვით, ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კოვანკო ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად დაუნიშნიათ. კოვანკოს ადგილას დაუნიშნიათ ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი რიბინი.

**✦ პოლიცია და რესტორანები**. „კასპი"-ს სიტყვით, ტფილისის პოლიცმეისტერს ბრძანება გაუცია, რომელთაც უბნის ზედამხედველებს (აკოლოდოჩნიკებს), თუ არ სამსახურის საქმეებისა გამო, არ შეუძლიათ რესტორანებში შესვლა.

**✦ ტფილისის ლომბარდს** ქალაქის გამგეობისა მართებს 58,221 მან. 55 კაპ. გამგეობამ ლომბარდის გამგეს მოსთხოვა ამ ფულის გადახდა. გამგის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ლომბარდს არავითარი სახსარი არა აქვს ამდენი ფულის გადახდისა. გამგეობამ ლომბარდის გამგეს დაავალა, საქციონო გაჭრობიდან შემოსული ფული უკლებლივ გამგეობის კასაში წარუდგინოს ხოლმე სარგებლის გასანაღდებლად.

**✦ ტფ. პოლიციამ დაატუსაღა** მეეტლე ზოლოს მირზახანიანი და ტფ. მოქალაქენი მიკირტიჩ ტურაბიანი და არმენაკ ტერ-არაქელოვი, რომელთაც ჰბრალდებათ ფეთხაინის გორაზე. სერგო ბაქრაძის მოკვლაში მონაწილეობის მიღება. ბაქრაძე, როგორც გვქონდა აღნიშნული მხეცურად მოჰკლეს.

**✦** 10 იანვარს, დილის რვა საათზედ, თათრის მოედანზე ვაჭარი მამაჯან მამულოღლი გაჩხრიკეს და რევოლვერი უნახეს. ამავე დღეს საღამოთი დაპატიმრეს სარქის ზალი-ოღლი, რომელსაც თავის ცოლის სასიკვდილოდ დაჭრა ჰბრალდება. დაპატიმრებულნი პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი. 10 იანვარს ღამე ქურდებს გაუტეხიათ პეტრე-პავლეს ეკლესია. საფულე ყუთებიდან ამოუღიათ 3 მ., წაუღიათ 50 მანეთად ღირებული ხალიჩა და მიმალულან. ქურდებს დარჩენიათ ეკლესიაში სხვა და სხვა იარაღი. დიდუბეში საგურამოს ქუჩაზე მასწავლებელ ერემია გულისაშვილის ბინაზე ათ იანვარს დილით ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი შინაურ საშუალებით ჩააქრეს. ზარალი 300 მანეთამდეა. ათ იანვარს საღამოს 9 საათზედ ტფილ. მცხოვრებს ანტონ კოგაროვს შინ დაბრუნებისას აბას-აბადის მოედანთან 3 უცნობმა დაახალა სამჯერ რევოლვერი და მიიმალა. კოგაროვი უვნებელი გადარჩა. 11 იანვარს ქურდებმა ტფილისის ვაჭრებს სიმონიანცს და ვარამიანცს მოჰპარეს 160 მანეთის ნივთები. ვოგზლის ქუჩაზე 11 იანვარს, დ[illegible] 9 საათ[illegible] მეეტლე № 298 დაეტაკა 12 წლის [illegible] ბუნტურისას [illegible] [illegible]

10 [illegible] [illegible] ვიღაც ქალის თანხლებით ბავშვი დაესაფლავებინა. პოლიციას ამოუღია დასაფლავებული და უნახავთ, რომ ბავშვი ბამბით ჰქონდა პირი გამოტენილი. მუშა სარქისოვმა პოლიციას აცნობა, რომ იგი ვიღაც ქალმა დაიქირავა და წაადებინა ბავშვი დასამარხავად. პოლიციამ სარქისოვი დააპატიმრა.

# კიდევ ქუთაისის გამოფენის შესახებ

(პასუხად ბ-ნ ნ. მკურნალს)

„ერთ-ერთი მხურვალე მონაწილე გამოფენის გამართვის აზრისა" უწოდა ბ-ნა მკურნალი, რომელიც თავს მართლულობს ამ საქმეში. ავტორს მოჰყავს გამოფენის პროგრამა და ჰგონია, რომ გაბათილა ჩემი მოსაზრებანი ქუთაისის სამეურნეო გამოფენის შესახებ, მით უმეტეს, დასძენს ბ-ნი მკურნალი, მოსკოვისა და შიდა რუსეთის სხვა გუბერნიებში შარშან მრავალი გამოფენა გაიმართაო. ზემოხსენებულ საბუთებს ბ-ნი მკურნალი იმასაც უმატებს, რომ პარიზის 1855, 1826, 1860 და 1867 წლების გამოფენებმა ხელი შეუწყეს სხვა და სხვა ჯიშის საქონლის გავრცელებასა და გაუმჯობესებასაო.

როცა მე წერილს ვბეჭდავდი „დროების"-ში აზრადაც არ მომსვლია საზოგადოდ გამოფენების მნიშვნელობის უარჰყოფა და ამ საგანზე ბაასი მეტადაც მომაწყინა. მხოლოდ ერთ შენიშვნას-კი შევიტან გამოფენის მნიშვნელობის დასასებში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს დიდ მეურნეთა და ამ ნაირსავე მრეწველთა და ვაჭართათვის, ხოლო მასსა გამოფენით მაგრე რიგად ვერ სარგებლობს. ეს აზრი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

მოსკოვისა და რუსეთის სხვა ადგილებში გამართულ გამოფენების შესახებ, უნდა გამოვტყდე, საკმაო ცნობები არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ გასამართავად გროშობით არ აგროვებენ ფულს, და მათ ისეთი ზოგადი ხასიათი არ ექნება, როგორიც ქუთაისისას მათ. მხედველობაში ექნებათ განსაზღვრული დარგი მეურნეობისა, ამნაირ გამოფენას კი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელობა აქვს.

ეხლა ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია განხორციელდეს ქუთაისის გამოფენაზე ის პროგრამა, რომელიც ბ-ნ მკურნალს მოჰყავს თავის წერილში.

გამოფენამ უნდა წარმოადგინოს,— ბრძანებს ბ-ნი მკურნალი, ნაკლულევანება, ღირსება და ეკონომიური მნიშვნელობა ამა თუ იმ სამეურნეო დარგისა, რაიც მოხერხდება ადგილობრივ ექსპონატების გამოფენითაო. ნაკლულევანება, ღირსება და ეკონომიური მნიშვნელობა იმ სამეურნეო დარგებისა, რომელთაც რაიმე ადგილი აქვთ დათმობილი დასავლეთ საქართველოს მეურნეობაში ბ-ნმა მკურნალმა და სხვებმაც კარგად იციან, მაგრამ რას შემატებს მათ გამოფენა—ამის გაგება მართლაც ძნელია. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ იმერული ღვინო, როგორც მასალა, კარგი რამ არის, მაგრამ ტეხნიკის სისუსტის გამო იგი ფართო ბაზარს ვერა პოულობს. ნუ თუ აზრის მოპოვებას რამე შეემატება, თუ ათი გინდა ასი მემამულე თავის ღვინოს გამოჰგზავნის გამოფენაზე და ყველა დარწმუნდება, რომ იგი საბაზრო საქონელი არ არის, როგორც ეს სხვა გამოფენებზე დამტკიცდა. იგივე ითქმის სიმინდზე, ყველზე, ბამბაზე და სხვაზე.

გამოფენამ უნდა გააცნოს ხალხს სხვა და სხვა სამეურნეო დარგში სახმარებელი იარაღი და მათი უპირატესობა ადგილობრივ იარაღთან შედარებითაო, ბრძანებს ბ-ნი მკურნალი. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ გაუმჯობესებულ იარაღს სად შოულობს ბ-ნი მკურნალი? დავარწმუნებთ, რომ ქუთაისის გამოფენა გაუმჯობესებულ იარაღს ვერ მიიზიდავს ვერც ევროპიდან და ვერც რუსეთიდან, და თუ გაუმჯობესებულ იარაღად მიაჩნია ბ-ნ მკურნალს ის, რაც ამას მერე არს ერთხელ ნახეს ფილაქსოვის საწყობში მოენახება, მაშინ ჩვენ

* * *

სომხებმა აიტანეს დევნა, ხოცვაჟლეტა,—მარტო უკანასკნელად გაჟლიტეს 300,000 სული—მაგრამ სომეხი მაინც სომეხია და ეხლა იგი ისეა მომზადებული ყოვლისფრით— კულტურით, სიმდიდრითა და იარაღით, რომ ჟლეტას ვერავინ გაუბედავს მაგრე ადვილად, კულტურულად კი იგი მასწავლებელი თუ იქნება ოსმალებისა, თორემ მოწაფეობა არა სჭირდება. რაც სომეხზედ ითქმის—ორი იმდენი, რასაკვირველია, ბერძენზედ. არც ბოლგარელი დაჰკარგავს თავის ეროვნებას ამავე მიზეზთა გამო. მაგრამ ქრისტიანთა ასსიმილაციაზედ ოსმალები თვითონვე უარს ამბობენ.

მაჰმადიანებს რაც შეეხება, აქაც ვერ არის კარგად, საქმე საასსიმილაციოდ. ალბანელებში ახლა იღვიძებს ეროვნული შეგნება, აარსებენ თავიანთ ალბანურ კლუბებს, სურთ გამოსცენ თავიანთი გაზეთები, გახსნან სკოლები ალბანურ ენაზედ, რადგან ენა უმეტესობას დავიწყებული არა აქვს და სხვა.

არაბთა ერი კი ერთი უდიდესი და უკულტუროსნესია მთელს იმპერიაში. მას რა უნდა მისცეს ოსმალომ და როგორ უნდა მოახდინოს მისი ასსიმილიაცია, როცა თვით აიღო იმისაგან ყველაფერი, რაც ეხლა გააჩნია და აბადია: სჯული მუსულმანისა, რომლითაც ოსმალო ამაყობს და რომელზედაც იგი თითქმის ყველაფერს ამყარებს, მისი შექმნილი არა არის—იგი არაბულია, არაბების ნააზრი, არაბების სოციალურ ცხოვრების ნაყოფი. ენა ოსმალური ნახევარზედ მეტი არაბულია და ლიტერატურა მისი უარაბულოდ არარაობაა. ზნე-ჩვეულება არაბულია უმეტეს ნაწილად. მთელი კულტურა—მუსიკა, ხუროთ-მოძღვრება და სხვა აგრეთვე სპარსულ-არაბულია და მოდი ახლა არაბებს უთხრან, უნდა თქვენი ასსიმილიაცია მოვახდინოთ. ეს შეუძლებელია და მოუხერხებელი, და მით უმეტეს ყოველ საფუძველს მოკლებული, რომ თუ სადმე ოსმალეთის ხალხთა შორის ეროვნული თვით შეგნება, სწორედ არაბთა შორის.

მაშასადამე, არაბეთიც არ არის საგანი ასსიმილიაციისა და არც იქნება არასოდეს. ამიტომაც ოსმალები მათ ყველაზედ უფრო მოწიწებით ეკიდებიან.

ვინლა დარჩა? ქურთები, ჩერქეზები, ქართველები და სხვა წვრილი ხალხი? მაგრამ ეხლა ქურთსაც აღარ უნდა გათურქება და სცდილობს არ დაჰკარგოს თავისი ეროვნება. ჩერქეზს, თუმცა ენაც კი დაუკარგავს, მაგრამ მაინც თავისი კლუბი გაუმართავს თვით კონსტანტინეპოლში და სცდილობს აღადგინოს დაკარგული ეროვნული საუნჯე. ყოვლის ღონის ძიებით მას მტკიცე კავშირი სურს შეჰკრას შინ დარჩენილ ჩერქეზებთან და საერთო ძალით უნდა შეუდგეს მომავალ დიდ მუშაობას.

ჩვენ კი უპატრონოდა ვართ. მართალია ქართული ენა, თურმე, ძლიერ შემოკლდა იმ 200,000 ქართველთა შორის, რომელნიც მცირე აზიაში არიან გაბნეულნი. ისინი უკვე არეულ თურქულ-თათრულად ლაპარაკობენ. აქაურ მუსულმან ქართველთა უმეტესი ნაწილი და განსაკუთრებით გავლენიანნი პირნი ჯერ-ჯერობით შესაძლებლად ვერა სცნობენ ეროვნულ მუშაობის დაწყებას, ზოგი საჭიროდაც ვერა სცნობს. ჩვენ კი აქ მუშაობა არ შეგვიძლიან, რადგან სახლშიაც ვერ ვმუშაობთ ხეირიანად, და რომ შეგვეძლოს კიდეც, არ მოგვცემენ ნებას, თუ ზემოხსენებული ტენდენცია მართლა განმტკიცდა მომავალშიაც ოსმალოთა შორის. მაგრამ საქმე ის არის, რომ მხოლოდ ასეთი უპატრონოდ დატოვებული ხალხი, როგორც ქართველობაა და მისი მსგავსნი, თუ გათურქდება, თორემ არა მგონია ოსმალეთის იმპერიაში ოდესმე შესაძლებელი იყოს დიდ და მცირე შეგნებულ ერთა ასსიმილიაცია.

არა თუ შესაძლებელი არ იქნება, შეიძლება მათი ღონისძიება ასსიმილიაციისათვის რევოლიუციათა მიზეზად გახდეს, და მაშინ ოსმალეთს ორი გზა და ექნება: ან ისევ ცესხლი და მახვილი, რაიცა მას ისევ ძველ ბარბაროსობაში ჩაავდებს და უეჭველად დაჰღუპავს, ან და დათმობა და ავტონომიები, ფედერატიულად შეკავშირებულნი, რაიცა დღევანდელ ტენდენციას ამტყუნებს.

ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია აქ მოვიხსენიოთ, რომ ასეთი ტენდენცია ნათლად და მკაფიოდ საჯაროდ არ აუღიარებია ოსმალეთის ცენტრალისტურ პროგრესიულ პარტიას. იგი აგრეთვე ფიქრადაც არ გაივლებს ქრისტიანთა ასსიმილიაციას. ეს ტენდენცია ოდნავ გამოჩნდა ბევრთა ნაწერებში, ბევრთა ნალაპარაკევში, კერძოდ და საჯაროდ, გამოჩნდა აგრეთვე საბბაჰ-ედინის ფედერალისტურ პროგრამის ცხარე კრიტიკაში იჟთიადის უმრავლესობის მიერ. მე კი კერძო მოსაუბრეთა ნალაპარაკევიდან ვიცი უფრო ამ ტენდენციის არსებობა. ასე რომ მე არავის არ ვაწერ გადაჭრილად ამ აზრსა. მე ვამბობ თუ ეს ტენდენცია ღონისძიებად გარდაიქცა, სიკეთეს ვერ მოიტანს ოსმალეთისათვის მეტსქი და კვლავ განვიმეორებ ამ სიმართლეს, სადაც არ უნდა იყოს და ვისთანაც არ უნდა იყოს. როცა კი ამ ტენდენციას ჩამოაყალიბებენ გარკვეულ პროგრამაში მისი მატარებელნი; ნამდვილი და საფუძვლიანი კრიტიკა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, ჯერჯერობით კი გაგონილისა და წაკითხულის მიხედვით რაც მოგახსენეთ, მხოლოდ მისი თქმა შემიძლიან.

**უსახლ-კარო**.

ადარაფერი გვეთქმის. არა თუ 2000 მანეთი, ასი ამდენიც დაიხარჯა გამოფენის გამოფენაზე, მაგრამ მან გაუმჯობესებულ იარაღის გავრცელებაში ვერაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო.

გამოფენამ უნდა გაგვაცნოს გაუმჯობესებული ჭირნახულით, გვიქადაგებს ბ-ნი მკურნალი, და იმას კი აღარ იღებს მხედველობაში, რომ დასავლეთ საქართველოში გაუმჯობესებული კი არა, საჭმელი ჭირნახულიც აკლია ხალხს, და რანაირად შეუძლიან მას გამოგიფინოთ ჭირნახული, გაუმჯობესებული იქნება იგი თუ შეშელისაგან სანახევროდ შეჭმული და გაშავებული!

ბ-ნი მკურნალი იმედს არა ჰკარგავს, მას ჰგონია, რომ გარეშე ადგილების ჭირნახულს და საქონელს გამოუფენენ. ვინ? ნუ თუ ფიქრობთ, რომ ცნობილი ვილმორენი კისრის ტეხით გამოიქცევა საფრანგეთიდან ქუთაისში თქვენ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად? სასტიკათ სცდებით.

დემონსტრატიული ლექციები. „გამოფენას საერთო სამეურნეო სასწავლებლად ხდისო“, გვასწავლის ბ-ნი მკურნალი. დიახაც მაგრე იქნება, რომ იმ ლექციებს „ერი“ დაესწრებოდეს და არა თქვენ და თქვენისთანა მოხელენი და ბულვარის მტკეპნელი „მეურნეები.“ გვინახავს, ბატონო, ეს „დემონსტრატიული“ ლექციები და „ერი“ კი არსად გამოჩენილა. ვერც ქუთაისის გამოფენა დააღწევს თავს ამ გვარ ლექციების სვე-ბედს და ამიტომ ხალხს, იმ ხალხს, რომლისთვისაც ვითომ თქვენ გამოფენასა მართავთ, თქვენი გამოფენა, ლექციები და სხვა ამასთანაები არას მოუტანს.

გამოფენა ჰპოულობს მწარმოებლისათვის ბაზარსაო, კვლავ გვიმეორებს ბ-ნი მკურნალი და ის-კი ავიწყდება, რასაც ბაზარი ჰქონდა მოშოვებული (სიმინდს ვგულისხმობთ), ის ხალხს არა თუ გასასყიდად, საჭმელადაც არა აქვს და რაც ბაზარში გასატანი გვაქვს, ის იმდენად უხეიროა როგორც საბაზრო საქონელი (ღვინო), რომ ხელს არავინა ჰკიდებს.

გამოფენის დროს უნდა მოხდეს კრება მეურნეთა და ყველა იმ პირთა, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ სასოფლო მეურნეობასთანაო. მეურნეთა კრებები დიახაც საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ არა ის კრებები, რომელიც გამოფენაზე მოხდება: იქ შეიკრიბებიან მოხელენი და მეურნეობას ჩამოშორებული მემამულენი და, როგორც ეს განათლებულ სამეურნეო საზოგადოებაში სდება, გაიმართება პლატონიური დაპირაკი ხალხის კეთილდღეობის აღორძინებაზე. შეიძლება იქამდისაც-კი მივიდნენ, რომ ხალხის განათლებას მეურნეობის ცოდნის გავრცელება ამჯობინონ, მაგრამ ამით ხალხსა და მის კეთილდღეობას არა მიემატება-რა.

თუ ბ-ნ მკურნალსა და მის თანამოაზრეთ მართლა შესტკივათ ხალხისათვის გული და სხვა რამე არ ამოქმედებთ, სჯობია გამოფენებს თავი დაანებონ და ხალხს დაუახლოვდნენ, მისი ავი და კარგი გაიგონ, მოახდინონ ადგილობრივ კრებები და თვით დაინტერესებულ პირთაგან გაიგონ მცხოვრებთა საჭიროება და ჭირ-ვარამი. თუ შეუძლიანთ რამე, მაშინ გამოიჩინონ საქმიანობა და უნარი.

**გადამდგარი მეურნე.**

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ქართული წარმოდგენა ახალ თეატრში** („ლალატი“, დრამა ალ. სუმბათაშვილისა, თარგმ. ალ. ყიფშიძისა). „ლალატს“ ქართულ თეატრში ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრება. ეხლაც ასე მოხდა: თეატრი სავსე იყო. გალერეის ბილეთები სამი დღის წინად გაიყიდა. ყველა დაინტერესებული იყო წარმოდგენით. სუმბათაშვილის პიესა ხომ აინტერესებდათ მაყურებელთ, მაგრამ არა ნაკლებ აინტერესებდათ ის, თუ როგორ შეასრულებდნენ თავიანთ როლებს ახალი არტისტები. ამ საღამოს პასუხ-საგები როლები თითქმის სულ ახალგაზრდებისთვის მიეცათ. ზეინაბს ასრულებდა ქ-ნი ბარათაშვილი, ოთარ-ბეგს—იმხნელი, გაიანეს—ქ-ნი საგინაშვილი. ბ-ნმა იმხნელმა ამ საღამოს ყველას ცივი წყალი გადაასხა. აიხადა ფარდა, გამოჩნდა მშვენიერი დეკორაციები, მდიდრულად მორთული ოთახი, ძვირფასი და მოხდენილი ტანისამოსი. სულეიმან ხანი (გუნია), ოთარ-ბეგი (იმხნელი), ყარა-უსუფ (შალიკაშვილი), ალ-რაზაკ (საფაროვი), ერთის სიტყვით, ყველაფერი თვალს იტაცებდა. მაგრამ თავშივე აშკარა გახდა, რომ წარმოდგენა ცივად და უგულოდ ჩაივლიდა. ამისი მიზეზი უმთავრესად იგივე ბ-ნი იმხნელი იყო. იმისმა უგულო თამაშობამ სხვებსაც გუნება წაუხდინა და წარმოდგენას აღფრთოვანება დაუკარგა. იმხნელი პირველად შეეცადა ეთამაშნა, რამდენიმე წუთით სცდილობდა, ოთარ-ბეგის როლი გაეცოცხლებინა, მაგრამ წაუბორძიკდა თუ არა ენა, იჩინა თუ არა თავი როლის უცოდინარობამ, მაშინვე თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, გაშეშდა და ამის შემდეგ თითქმის წარმოდგენის გათავებამდე იგი აღარ თამაშობდა, სტატისტივით მიდიმოდიოდა და მხოლოდ სიტყვებს ისროდა ცივად, უგულოდ. არც მიმიკა, არც გრძნობის გამოხატვა. პირისახეც და თვალებიც უცვლელი ჰქონდა. ასეთივე იყო შემდეგ მოქმედებებში. მშვენიერი ადგილი ალ-რაზაყის მოკვლისა სულ წაახდინა. ამ სცენაში იმხნელი ხესავით იდგა; როდესაც დედოფალი შემოვიდა, ოთარ-ბეგმა ცივად უთხრა: „დედოფალო, ალ-რაზაკი მოჰკლესო“, თითქოს ასე უნდა მომხდარიყო. არის კიდევ მეორე ადგილი სუმბათაშვილის პიესაში. ოთარ-ბეგის შემსრულებელს ფართო ასპარეზი აქვს და თუ მსახიობი ნიჭიერია და რაიმე უნარი აქვს—თავს გამოიჩენს. ასეთია, მაგალითად, თუნდაც ის ადგილი, სადაც დედოფალი დიდ საიდუმლოებას უზიარებს ოთარ-ბეგს—ჩემი შვილი ცოცხალიაო და სხვა. ბ-ნი იმხნელი აქაც ჩვეულებრივად ცივად შეხვდა ამ სიტყვებს: „დედოფალო, აკი მოჰკლეს შენი შვილიო“. ეს ისე თქვა, თითქოს „იმ შვილის“ პატრონს ორმოცდა ათი კიდევ სხვა შვილი ჰყოლოდეს და ერთი მათგანი ცოცხალი იქნება თუ მკვდარი—სულ ერთია, ქვეყანა არც აშენდება, არც დაიქცევაო, ბ-ნმა იმხნელმა უკვე რამდენიმე პასუხსაგები როლი შეასრულა და ვრწმუნდებით, რომ დრამატიულ როლებში სრულიად უვარგისია. იმხნელი ვნახეთ „თომას“ როლში და მშვენიერი იყო; უმჯობესი იქნება ასეთ როლებში გამოვიდეს ხოლმე. თავის თავსაც არ ავნებს და წარმოდგენასაც ხელს აღარ შეუშლის. ამასთან გვიკვირს, რატომ არ შეიძლება ახალგაზრდა და გამოუცდელ მსახიობს მეორე ხარისხოვანი როლი მიეცეს?

ზეინაბის როლში ქ-ნი ბარათაშვილი გამოვიდა. აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოთ არ შეიძლება გამოუცდელ მსახიობს სადებიუტოდ ასეთი ძნელი როლი მიეცეს. ეს თვითონ მსახიობისთვის არ ვარგა და წარმოდგენისთვის ხომ პირდაპირ საზარალოა. ქ-ნი ბარათაშვილი ზოგ ადგილებში ურიგო არ იყო, მაგრამ ვიმეორებთ, ძნელია ამისთვის ასეთ რთულ როლის გაპიროვნება. სხვა უფრო ადვილ როლს ქ-ნი ბარათაშვილი დასძლევდა და საზოგადოებასაც მოეწონებოდა. ეხლა... ეხლა კი არ ვიცით, რა ვთქვათ; საეროოდ იგი სუსტი იყო, რაც სრულიადაც არ არის საკვირველი, მაგრამ თუ იმუშავა და ეცადა, სასარგებლო ძალა იქნება ჩვენი სცენისათვის. ქ-ნი ბარათაშვილი სულ ერთი კილოთი ლაპარაკობდა, თითქოს ძველ საეკლესიო საგალობელს ამბობსო.

ყველაზე უფრო ხალხს მოეწონა მესამე დებიუტანტი ქ-ნი საგინაშვილი. იგი გაიანეს როლს ასრულებდა. სამწუხაროდ ხმა სუსტი აქვს. კარგი იყო იგი როდესაც ბაღიდან გამოვარდა და დათოს შეჰხვდა. ვნახოთ შემდეგ როლებს როგორ შეასრულებს.

რუქაიას როლს ასრულებდა ქ-ნი მდივანი. საზოგადოდ „ლალატი“-ს წარმოდგენა არაფერს არ ემგვანებოდა, რომ შალიკაშვილი, გუნია, გამყრელიძე, იმედაშვილი და მდივანი არ ყოფილიყვნენ. მდივანმა ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა. მან არა მარტო გრძნობიერად შეასრულა რუქაიას როლი, მას ღრმად ჩაეხედა რუქაიას სულსა და გულში. მის მიერ გაპიროვნებული რუქაია ცოცხალი არსება იყო. მას უმნიშვნელო ადგილებსაც კი ყურადღება მიექცია. საზოგადოდ ამ ბოლო დროს დიდი წარმატება ეტყობა ახალგაზდა მსახიობ ქალს და ეს იმიტომ, რომ ალბად ბევრს მუშაობს.

ქ-ნი ჩერქეზიშვილისა ისახარის როლში და ქ-ნი ჯავახიშვილისა გამდელის როლში კარგები იყვნენ.

ბესოს როლს მურვანიშვილი ასრულებდა. სუსტი ბესო იყო.

დეკარაციები მშვენიერი იყო, მოწყობილებაც, მეტეხის აფეთქებაც ეფექტიური იყო, მაგრამ მეტად ბევრი ტყვია-წამალი დაიხარჯა. მართალია, მეტეხი ეგრე ადვილი ასაფეთქებელი არ არის, მაგრამ არც ამდენი ტყვია-წამალი შეიძლება: თეატრის დარბაზში ბურუსივით იდგა კომლი და საშინელი სუნიც იყო. კარგი იქნებოდა, ზარი ჰქონოდათ და იმის მაგიერ ტაშტი არ ერეკუნებინათ ელვა არა ბუნებრივი იყო.

გული გტკივა, რომ ასეთ მოწყობილებას უყურებ, შესაფერი თამაში კი არ არის. რეჟისორის ხელი სჩანდა, მაგრამ იგი უეჭველია მარტო სცენისა და სურათების მოწყობას აქცევს ყურადღებას, არტისტების გაწვრთნას კი ნაკლებად.

წარმოდგენა ორ საათზე გათავდა, რაც პირდაპირ შეუწყნარებელია. რვა საათის მაგიერ წარმოდგენა 9 საათზე დაიწყეს. —**ზენტი.**

—

**მოსკოვი.** 4 იანვარს მოსკოვის „კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზში თ-დ ა. ი. სუმბათაშვილის გამგეობით გაიმართა მე-34 ქართული საღამო. საზოგადოდ ქართულ საღამოებს კაი სახელი აქვს გავარდნილი მოსკოვში და ბლომა ხალხიც ესწრება, წელს კი, მიუხედავად იმისა, რომ საღამოს გამმართველთ შრომა და ცოდნა არ დაუზოგავთ, საღამომ კვლავინდებურად ბევრი ხალხი ვერ მიიზიდა. ეს უმთავრესად ორის გარემოების ბრალია: ჯერ ერთი—თვითონ დრო ხელს ვერ უწყობდა საღამოს გამმართველთ: ხომ მოგეხსენებათ, ნაახალწლევს მოხელეობა ცოტა უფულოდ გახლავთ ხოლმე, ქართულ საღამოების „ნაღდი“ მუშტარი კი ყოველთვის უმთავრესად ეს მოხელეობა ყოფილა და არის. მეორე მიზეზი კი საღამოს გამგეების მიერ ბილეთების გავრცელებაში გამოჩენილი უცოდინარობაა. მოსკოვი—დიდი ქალაქია და ერთხელ-ორჯელ არა კმარა აფიშის გამოკვრა ან გაზეთში გამოცხადება.

თუმცა კონცერტში მონაწილეობას საუკეთესო არტისტები იღებდნენ, მაგრამ წმინდა შემოსავალმა, რამდენადაც ვიცი, რვაას მანეთს ვერ გადააჭარბა, ეს რიცხვი კი „ქართულ საღამოსთვის“ ბევრი არაფერია.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი იყო კონცერტში ქართული განყოფილება, რომელსაც განაგებდნენ კ. გ. მანიკინ-ნესტრუევი. პირველად სამხატვრო თეატრის ორკესტრმა ნ. ა. მანიკინ-ნესტრუევის ლოტბარობით შეასრულა მ. მ. იპპოლიტეივანოვის „ქართული მარში“ („ივერიის“ სიუიტიდან) და ნ. ა. მანიკინ-ნესტრუევის „აღმოსავლეთის მინიატიურტი“. შემდეგ ამავე ორკესტრმა, ხოროსთან ერთად, კ. გ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით, შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები: „გულნარა“, „მერცხალი“, „ლილე“, „კუჩხა ბედნიერა“, „პატარა საყვარელო“, „დელა“, „მურმან“, „ვახტანგი“, „ფაცხა“, „ნანა“ და „გოგონა“. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა სამი უკანასკნელი და „კუჩხა ბედნიერა“. ქართულსავე განყოფილებაში დაუკრა ა. ნ. კორეშჩენკომ თავისი ნაწარმოებები ქართულ ჰანგებზე. მეტად კარგი იყო „საჩონგურო კილოები“. კარგი იყო აგრეთვე ლ. ნ. სოკოლოვას და ლ. ნ. ოსტროგორსკაიას ორი დუეტი: „ნანა“ (მ. მ. იპპოლიტოვა ივანოვისა) და „საქართველოში“ (ნ. ა. მანიკინ-ნესტრუევსა).

რუსულ განყოფილებაში ბევრმა სახელოვანმა არტისტმა მიიღო მონაწილეობა. მღეროდნენ ქ-ნნი ე. ე. ლიუცე, ნ. ს. ერმოლენკო-იუჟინა, ბ-ნნი ო. ი. კამიონსკი, ნ. ა. ზნამენსკი და სხვანი.

საზოგადოდ, საღამომ ჩინებულად და მწყობრად ჩაიარა, ისე, რომ გამმართველთ მადლობის მეტი არა ეთქმით-რა. **გრაკხ.**

## რუსეთი

✦ **სოციალისტ-რევოლიუციონერები.** გაზეთ „სლოვო“ იტყობინება, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის მეთაური ევგენი ფილიპპის ძე აზეფა პროვოკატორად გამოაცხადაო. აზეფამ, სხვათა შორის, მოაწყო პლევეს და დიდ მთავრის სერგეის მოკლა. როგორც პარტიას გაუგია, აზეფას პოლიციაში უმსახურნია. აზეფასთვის პარტიული სასამართლო დაუნიშნიათ. აზეფა დამალულა.

✦ **პოპოვის გარდაცვალება.** პეტერბურგში გარდაცვლილა პოპოვი, რომელმაც შლისელბურგის ციხეში 25 წელიწადს დაჰყო. დასაფლავების დროს პოლიციას ყველა გვირგვინიდან ლენტები ჩამოუხსნია.

✦ **პროფესიონალური კავშირები.** პეტერბურგის პროფესიონალურ კავშირების სადგომებში გაძლიერებული ჩხრეკაა თურმე. პოლიციას აუარებელი ხალხი დაუპატიმრებია.

✦ **ცოლის წაგება.** სადგ. ტოსნოს (ნიკოლაევის რკინის გზაზე) ორ გლეხს ქაღალდის თამაში დაუწყვია. ერთს რაც ფული ჰქონია წაუგია. როცა ფული გამოლევია, მეორესთვის მიუმართავს: „იცი, ჩემ ცოლზე ვითამაშოთ“. როგორ თუ შენ ცოლზე?! „სულ უბრალოდ თუ მე კიდევ 65 კაპეიკი წავაგე, მაშინ ჩემი ცოლი შენი იქნება“. მეორე ამაზე დათანხმებულა. პირველს მაინც წაუგია. მამგებს ცოლი მოუთხოვია პირველისთვის. როდესაც ცოლს გაუგია, რომ იგი ეხლა სხვას ეკუთვნის, დაუწყვია ტირილი, მაგრამ მამგები ულმობელი ყოფილა. მაშინ ცოლს აუღია და თავის ქმრისთვის ჯოხი ისე მაგრა დაურტყამს, რომ იგი უგრძნობლად ძირს დაცემულა. ფედოროვისთვის კი (მომგები), რომელიც თავის ამხანაგს მიშველებია, ცხვირი მოუკვნეტია წამგების ცოლს.

✦ **სატყეო ინსტიტუტის გახსნა.** ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ, რომ მიწათმოქმედების მთავარმართებელმა სატყეო ინსტიტუტი დროებით დაკეტა. მიზეზი სტუდენტების აკადემიურ ნიადაგზე გაფიცვა იყო. ეხლა, როგორც რუსეთის გაზეთები გვატყობინებენ, მიწათ-მოქმედების მთავარმართველს წინადადება მიუცია ინსტიტუტის საბჭოსთვის, ამა წლის 15 იანვარს გახსნას ინსტიტუტი მხოლოდ იმ პირობით კი, რომ პირველი კურსის სტუდენტები აღარ მიიღოს ინსტიტუტში; მათ შეუძლიანთ მხოლოდ ამა წლის შემოდგომაზე ხელმეორედ დაიჭირონ ეგზამენი. ინსტიტუტის საბჭომ პირველ კურსზე უნდა მიიღოს ის სტუდენტები, რომელთაც, ინსტიტუტის დებულების ძალით, შეუძლიანთ შესვლა. ამასთან უპირატესობა ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულთ. ინსტიტუტში სწავლება უნდა გაგრძელდეს, რომ პროფესსორებმა ლექციების წაკითხვა მოასწრონ.

✦ **სამკითხველოს დაკეტვა.** ნეჟინის ერობის კრებას დაუკეტია ქალაქის ერთადერთი სამკითხველო. ერობას ამის მოტივად ის მოჰყავს, რომ მეტი წილი მკითხველებისა ებრაელები არიანო.

✦ **ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში—4, რიგაში—1; ჩამოახრჩვეს რიგაში—3, ეკატერინობურგში—3 კაცი.

✦ **ეკატერინოსლავში სიკვდილ გადაწყვეტილნი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ეკატერინოსლავში 32 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მათ შესახებ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ სასჯელი შეუმსუბუქონ. „რეჩის“ სიტყვით, 10 კაცს უარი განუცხადებიათ სასჯელის შემსუბუქების შესახებ შუამდგომლობაზე.

✦ **საერო განათლების მინისტრი.** ამ რამდენიმე ხნის წინად საერო განათლების მინისტრმა საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებს ცირკულიარით მიმართა. ურჩევდა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ შესვლას. ურჩევდა მასწავლებლებს აგრეთვე, რომ მოწაფეები „ჭეშმარიტ-რუსულ“ სულით გამსჭვალეთო. „სლოვოს“ სიტყვით, მინისტრთა საბჭო ამ ცირკულიარის შესახებ შეჰკითხებია საერო განათლების მინისტრს.

✦ **რკინის გზის ყალბი ბილეთები.** ამ დღეებში ვწერდით, რომ ვარშავაში რკინის გზის ყალბი ბილეთებით მოვაჭრე კაცი დაიჭირესო. დაჭერილს თავისი ამხანაგები გაუცია, რომელთა რიცხვიც 100 კაცზე მეტია. მათ ყალბი ბილეთების გასაკეთებლად სტამბა ჰქონიათ ბელოსტოკში. ყალბი ბილეთების გაკეთების ორგანიზატორებს განყოფილებები ჰქონიათ ვარშავაში, ვილნაში და სხვა ქალაქებში

**რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.**


## ამხ. „სორაპანისა“

დიდი ხანია სამართლიანი საყვედური ისმის ... წიგნების უქონლობის გამო. უეჭველია, ... ათ წლებიან შედარებით წიგნის საქმე ჩვენში ... დიდი სიღარიბეა წიგნებისა. ქართული წიგნი ... ბიბლიოთეკაში, არც ოჯახში. ხშირად გაგვიგონია ... ქართული წიგნი იყო, გადავიკითხე და ახლა აღარა მაქვს რაო. წიგნის მაღაზიაში რომ შეხვიდეთ, თითქმის ჩამოივლით სერიოზულ ქართულ წიგნებს. გადის თვეები, ხან წლებიც და ერთი-ორი ხეირიანი თხზულება თუ გამოვა ქართულ ენაზე.

არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ძლიერი მოთხოვნილება არ იყოს წიგნებისა. შეიძლება, სუსტია ჯერ კიდევ მოთხოვნილება, მაგრამ დღე და დღე მატულობს და უფრო გაიზრდება, თუ ახლანდელი მოთხოვნილება არ დარჩება დაუკმაყოფილებელი. ჩვენი პირადი გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენში წიგნს ექნება გასავალი, წიგნი დაიბეჭდება და გავა, თუ ყველასათვის მისაწვდომი იქნება.

ვფიქრობთ, რომ თუ ქართული წიგნი მინაარსიანი იქნება, ამასთანავე იაფი და ყველასათვის ხელ მისაწვდომი, 1500 ცალი მაინც უნდა გასაღდეს.

ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ მივცეთ მსურველთ წიგნი იმდენ ფასად, რამდენადაც ჩვენ დაგვიჯდება. რომ ყველასათვის ხელ მისაწვდომი იქნეს წიგნის შეძენა, ჩვენ შეძლებას ვაძლევთ მსურველს პროვინციის ყველა დაბა-ქალაქში ჩვენ აგენტებთან მოაწერონ ხელი გამოცემას და იქვე მიიღონ გამოცემული წიგნიც.

ამ მოსაზრებით განვიზრახეთ, გამოვცეთ რამოდენიმე წიგნი, ყველაზედ უწინარეს ჩვენში კაზმულ მწერლების ნაწარმოები, ამ საერთო სათაურით:

## ქართველი და უცხოელი მწერლები

ჩვენ გამოცემულ წიგნებში დაიბეჭდება როგორც ახალი, არსად არ დაბეჭდილი ნაწარმოები, ისე ძველი, უკვე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთებში და სხვ.

წიგნი იქნება მოზრდილ ტანისა, 200 გვ., სუფთად და ლამაზად დაბეჭდილი.

წიგნების საერთო ხელმძღვანელობა იკისრა „ფასკუნჯის“ რედაქციამ.

პირველად დაიბეჭდება ვაჟა-ფშაველას **„ცრემლები“**, დაუბეჭდავი ლექსები და პოემები.

**წიგნები ეღირება ყველგან—25 კ. და მიეცემა მხოლოდ ხელის მომწერთ.**

ვისაც სურს წიგნის დაკვეთა, უსათუოდ ხელი უნდა მოაწეროს შემდეგ ადგილებში: ტფილისში—წ.-კ. საზ. მაღაზიაში, „რეხ“-ის წიგ. მაღაზიაში, „ალიონი“-ს წიგ. მაღაზიაში; გორში—მჭედლიშვილის და კალანდაძის წიგ. მაღ.; მიხაილოვში—ალ. ებანოიძესთან, მანუფ. მაღ.; ყვირილაში—წიგ. მაღ. „სორაპანი“ ივ. გაჩეჩილაძე; ჭიათურაში—პირტახია; ქუთაისში—„იმერეთის“ წიგ. მაღ., კვიცარიძე; სამტრედიაში—ე. კოხრეიძე—კოპალეიშვილი; ოზურგეთში—წიგ. მაღ. თალაკვაძე; ლანჩხუთში—წულაძე; ჩოხატაურში—ის. შეგრელიშვილი; ფოთში—ივანე კოხრეიძე; ბათუმში—სილბისტ. ფირცხალაშვილი; თელავში—ონიკაშვილი; სიღნაღში—ივ. შალიკაშვილი.

ხელის მოწერა დაიწყება 6 იანვარს და გათავდება 23 იანვარს. შემდეგ ხელის მომწერლები აღარ მიიღებიან. იანვრის 25 დაიწყება წიგნის ბეჭდვა და დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება. ხელის მომწერთ შეუძლიანთ დაბეჭდილი წიგნი მიიღონ იმ აგენტისაგან, ვისთანაც დაბეჭდილი 25 კ. კვიტანცია იყიდა.

—✦ წიგნები დაურიგდება ხელის მომწერლებს 15 თებერვალს. ✦—

**წიგნი კერძოთ გასასყიდათ არ გამოვა.**

ვისაც ესურვება პირდაპირ ფულის გამოგზავნა, მან უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Т-во „Сорапань“. М. Гачечиладзе. ფულის მაგიერ მარკების გამოგზავნაც შეიძლება. (3—უ—3)

**მიიღება ხელის მოწერა 1909 წ. რუსულ ჟურნალზე**

## თეატრი და ხელოვნება

(„ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“)

მეცამეტე წელიწადი გამოცემისა.

**52 №№ ყოველ კვირეულ ნახატებიან** ჟურნალისა (ასამდე სურათი);

**12 ყოველ თვიური წიგნი** ბიბლიოთეკა „თეატრისა და ხელოვნებისა“ (ახალი სარეპერტუარო პიესები, ბელეტრისტიკა, სამეცნიერო პოპულიარული წერილები და სხვ.). 1909 წ. ჟურნალში დაიბეჭდება პიესები: **სვიმონ იუშკევიჩისა, ევგენი ჩირიკოვისა**, კ. ს. ბარანცევიჩისა, ვიქტორ რიშკოვისა („სახაზინო ბინა“) ი. ი. კოლიშკოსი—„დიდი კაცი“, ბერნშტეინისა „იზრაილ“ (პოტაპენკოს თარგმანი) რაშილდისა „ქ-ნი სიკვდილი“, გ. ბერგერისა „ნიაღვარი“. 1909 წლიდან „ბიბლიოთეკაში“ ახალი განყოფილება იქნება შეტანილი. განყოფილება დაიბეჭდება ცალკე და წლის ბოლოს შეადგენს სრულს ტომს „ესტრადას“ (კრებული ლექსებისა, მონოლოღებისა, მოთხრობებისა და სხვ., როგორც ძველებისა, ისე ახლებისა; გამოდგება ესტრადიდან წარმოსათქმელად).

ხელის მოწერის ფასი: **ერთი წლით 7 მანეთი.** შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა: 3 მანეთი ხელის მოწერის დროს, 2 მან. 1-ლ აპრილისათვის და 2 მანეთიც 1-ლ ივნისისათვის **ნახევარი წლით 4 მანეთი** (1 იანვრიდან 1 ივლისამდე და 1 ივლისიდან 1 დეკემბრამდე).

ქალაქ გარედ მცხოვრებთ, ვისაც კი სურთ სანიმუშო ნომრის მიღება, შეუძლიანთ 7 კაპეიკიანი მარკა გამოგზავნონ და მიიღებენ მიმდინარე ნომრის ჟურნალისას.

მთავარი კანტორა: С.-Петербургъ. Вознесенскій просп., 4.

რედაქტორი **ა. რ. კუგლი.** გამომცემელი **ზ. ვ. ტიმოფეევისა** (ხოლმსკაია). (3—უ—1)

## იყიდება ქვის ნახშირი

(ანტრაციტი)

საუკეთესო ღონის მადნებისა **ინჟ. ოტონი**

შეკვეთა მიიღება ამხანაგობა „ინჟინერ-ის კანტორაში, კიროჩნი ქუჩა, № 5. ტელეფ. № 888.

ამასთან კანტორა კისრულობს ფეჩების გადაკეთებას ქვის ნახშირის სახმარებლად. (6—699—5)

## სავაჭრო სკოლა || საბუხჰალტრო კურსები

უფლებებით || ორივე სქესისთვის

**ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.**

მიიღებიან მოსწავლენი || სწავლა დაიწყება 15 იანვარს.

ავჭალის ქუჩის თავში, 1 თუმანოვის ქ., ს. ს. № 13. (2—20—2)

## 60 მანეთიანი 30 მანეთად



ქ. ქუთაისში

**ა. რ. თაგავრის მაღაზიაში**

თეატრის ქუჩაზე

მუდამ იყიდება საკერავი მანქანები, ველოსიპედები, ... მანქანები, გრამოფონები და ყოველგვარი მათი მოწყობილობა. ...

ფასები შესამჩნევად დაკლებულია



## 60 მანეთიანი 30 მანეთად

(100—5—8)